პროლეტარეტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი
№ 101 (10495)

კვირა, 29 აპრილი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას — საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის გენერალურ ხაზს, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, ყველა ქვეყანასთან ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას!

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის საპირველმაისო მოწოდებიდან)

ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის პრეს-კონფერენცია ლონდონში

ლონდონი, 27 აპრილი. (საკდესი). დღეს დილით სენტრალ-ჰოლის დარბაზში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი გამოვიდნენ პრეს-კონფერენციაზე.

ნ. ა. ბულგანინმა პრეს-კონფერენციაზე გამოაქვეყნა საბჭოთა ხელმძღვანელების შემდეგი განცხადება:

„მთავრდება ჩვენი ყოფნა დიდ ბრიტანეთში, სადაც ჩამოვედით ინგლისის პრემიერ-მინისტრის სერ ანტონი იდენის თავაზიანი მოწვევით. დღეს 10 დღის ვიზიტის შემდეგ ჩვენ მივდივართ ამ შესანიშნავი ქვეყნიდან, მეგობრული გრძნობებით აღსავსენი ინგლისელი ხალხისა და მისი მთავრობისადმი, რომლებმაც დიდი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს ჩვენს მიმართ, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების მიმართ.

ჩვენი აქ ყოფნის შედეგად დავრწმუნდით, რომ ინგლისელ ხალხს არა სურს ომი, ესწრაფვის მშვიდობას, კარგი ურთიერთობის განვითარებას საბჭოთა ხალხთან. ჩვენ დიდი კმაყოფილებით ვუამბობთ საბჭოთა ხალხს ჩვენს ამ შთაბეჭდილებებზე და დარწმუნებული ვართ, რომ ეს მასში გამოიწვევს შეერთებული სამეფოს ხალხებისადმი სიმპათიის საპასუხო გრძნობებს.

ჩვენმა ვიზიტმა დიდ ბრიტანეთში საშუალება მოგვცა განგვეახლებინა პირადი კონტაქტი ინგლისის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან და უწინარეს ყოვლისა პრემიერ-მინისტრ სერ ანტონი იდენთან, რომელსაც ჯერ კიდევ გასული წლის ივლისში გვქონდა სიამოვნება შეეხვედროდით და ერთად გვემუშავნა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირზე, რომლის მნიშვნელობა კარგად არის ცნობილი.

შეერთებულ სამეფოში ჩვენი ყოფნის დროს ჩვენ ვიყავით ინგლისის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში. ოქსფორდში ყოფნისას გავეცანით ევროპის ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტის სამეცნიერო დაწესებულებებს, შევხვდით მის მეცნიერებსა და სტუდენტებს.

ჩვენ დავათვალიერეთ ატომის ენერგიის წარმოების დანადგარები ჰარუელში. ჩვენი შესანიშნავი მეცნიერი აკადემიკოსი კურჩატოვი გაეცნო კოლდერ-ჰოლის ატომის სადგურს. ამ სადგურებთან გაცნობამ დაგვანახვა, რა წარმატებებია მიღწეული აქ ამ ახალი სახეობის ენერგიის ათვისების დარგში. როდესაც ვეცნობოდით ატომის დანადგარებს, უნებლიეთ მოგვდიოდა აზრი, რომ, ბოლოს და ბოლოს, უნდა დადგეს დრო, როცა ეს მძლავრი ენერგია, რომელმაც დიდად გააფართოვა ბუნებაზე ადამიანის ბატონობის საზღვრები, ჩაყენებულ იქნება მშვიდობიანი მიზნების სამსახურში, გამოყენებული იქნება ადამიანთა საკეთილდღეოდ.

ჩვენ ვიყავით აგრეთვე სამრეწველო გამოფენაზე თქვენს ერთ-ერთ სამრეწველო ცენტრში, ბირმინჰამში, თუმცა, სამწუხაროდ, დროის უქონლობის გამო ვერ შევძელით გავცნობოდით ამ გამოფენას, რომელზეც წარმოდგენილია შრომის ნაყოფი შესანიშნავი ინგლისელი მუშებისა, რომელთა შრომისმოყვარეობა და ოსტატობა კარგად არის ცნობილი. ჩვენ გვიჩვენეს ინგლისის მიღწევები სამოქალაქო და სამხედრო თვითმფრინავთა მშენებლობაში, შესანიშნავ მფრინავთა ოსტატობა. ჩვენ საშუალება გვქონდა აგრეთვე გავცნობოდით შესანიშნავ ისტორიულ ძეგლებსა და შენობებს როგორც ლონდონში, ისე შოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგში.

გულწრფელ მადლობას გამოვთქვამთ გულთბილი მიღებისათვის, რომელიც მოგვიწყეს დიდი ბრიტანეთის ხალხმა, პირადად მისმა უდიდებულესობამ დედოფალმა ელისაბედ II-ემ, მისმა სამეფო უმაღლესობამ ედინბურგის ჰერცოგმა, პრემიერ-მინისტრმა სერ ანტონი იდენმა, მთავრობის, პარლამენტის წევრებმა, ქალაქების მერებმა და იმ ქალაქებისა და დაწესებულებების სხვა წარმომადგენლებმა, სადაც ჩვენ ვიყავით. ჩვენ მადლობელი ვართ ყველა ინგლისელი მოქალაქისა, რომლებმაც გამოხატეს თავიანთი გულთბილი გრძნობები საბჭოთა კავშირის მიმართ.

თქვენს ქვეყანაში ჩამოსვლის შემდეგ ჩვენ იმედი გამოვთქვით, რომ ჩვენი ვიზიტი აქ და ინგლისის კაბინეტის წევრებთან შეხვედრა ხელს შეუწყობს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომ შენელებას, მეტი ურთიერთგაგების დამყარებას და ჩვენ ქვეყნებს შორის ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას. შეგვიძლია ახლა ვთქვათ, რომ ჩვენი იმედი გამართლდა. დღეს გამოქვეყნებული ერთობლივი განცხადება საბჭოთა კავშირ-ინგლისის მოლაპარაკების შესახებ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია. შეგვიძლია ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ამ განცხადებას მიესალმება ყველა, ვინც დაინტერესებულია საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებით, სახელმწიფოებს შორის ნდობის დამყარებით.

ჩვენი შეხვედრები ინგლისის პრემიერ-მინისტრთან და მთავრობის წევრებთან, როგორც სამართლიანად არის აღნიშნული ერთობლივ განცხადებაში, მიმდინარეობდა გულახდილობისა და რეალიზმის სულისკვეთებით. ამან საშუალება მოგვცა ფართოდ გაგვეზიარებინა ერთმანეთისათვის აზრები როგორც საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობის საკითხებზე, ისე აგრეთვე ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემაზე, მათ შორის ევროპისა და აზიის პრობლემებზე.

რა თქმა უნდა, თქვენ, ჟურნალისტებს, შეიძლება უცბათ დაგებადოთ კითხვა — ყველაფერი შეუფერხებლად მიმდინარეობდა თუ არა მოლაპარაკებაში და ხომ არ იყო მოლაპარაკების დროს რაიმე სიძნელე ან, როგორც ზოგჯერ ამბობენ, მწვავე მომენტები. დიდი საიდუმლოების გამჟღავნების რისკის გაუწევლად შეგვიძლია გაცნობოთ, დარწმუნებული ვართ რა, რომ ამავე აზრისა არიან ჩვენი პატივცემული მასპინძლებიც, რომ მოლაპარაკების მიმდინარეობის გზაზე იყო ზოგიერთი წყალქვეშა მეჩიჩი. და უცნაურიც იქნებოდა, რომ არავითარი შეფერხება არ გვქონოდა. ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაფუჭება ხომ გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე მისი მოგვარება. ჩვენ გვაქვს სადავო საკითხები, გვაქვს უთანხმოებანიც.

ეს არ უნდა გვიკვირდეს, თუნდაც იმიტომ, რომ ინგლისი, როგორც ცნობილია, მონაწილეობს ატლანტიკის ბლოკში, რომელსაც, ეს თქვენ კარგად იცით, ჩვენ სიყვარულით როდი ვეკიდებით. ხდება, რომ ერთი ოჯახის წევრებიც კი ზოგჯერ ერთმანეთს წაეჩხუბებიან. ჩვენ კი, როგორც ცნობილია, არ შევდივართ ატლანტიკის ბლოკში, ხოლო ინგლისი არ არის ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე. ამიტომ ჩვენს ურთიერთობაში და, მაშასადამე, ჩვენს მოლაპარაკებაშიც იყო ჩრდილოვანი მომენტებიც.

ყოველივე ამას როგორც ჩვენ, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები, ისე დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებიც, რომლებიც მონაწილეობას ვიღებდით მოლაპარაკებაში, სავსებით ვითვალისწინებდით.

მაგრამ ასევე სავსებით ითვალისწინებდა ორივე მხარე იმას, რომ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც ჩვენს სახელმწიფოებს ეკისრებათ ხალხთა შორის მშვიდობის დაცვისათვის, როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა, ისე აგრეთვე დიდი ბრიტანეთის ხალხის ღრმა დაინტერესებას ორი ქვეყნის ურთიერთობის შენარჩუნებით და შემდგომი განმტკიცებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი მოლაპარაკების შედეგებისათვის.

სურს თუ არა ვინმეს ეს, საბჭოთა კავშირი და დიდი ბრიტანეთი ასე თუ ისე მოვლენათა განვითარების გამო გამონახავენ საერთო ენას, ყოველ შემთხვევაში, ძირითად პრობლემებზე, რომლებიც მშვიდობის დაცვას ეხება. საბჭოთა კავშირი და დიდი ბრიტანეთი დიდი მსოფლიო სახელმწიფოები არიან და უკვე ამ ფაქტის გამო დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ, რომ არ დაუშვან ახალი ომი და მთელი მისი მძიმე შედეგები ხალხებისათვის. მათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ, რომ არ დაუშვან ახალი ომის ხანძარი ევროპაში, რადგან მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფას ევროპაში, როგორც ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა საყოველთაო მშვიდობის დაცვისათვის.

როგორია ჩვენი მოლაპარაკების ძირითადი შედეგები?

უწინარეს ყოვლისა ორივე მხარემ აღიარა, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განმტკიცება სხვადასხვა დარგში — პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და მეცნიერულ-ტექნიკურ დარგებში — შეესაბამება ორივე სახელმწიფოს ხალხთა ინტერესებს. პროგრამა, როგორც ხედავთ სოლიდურია, და სამუშაოც საკმაო იქნება. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, სერიოზულად ვეკიდებით ამ პროგრამას და ჩვენი მისწრაფება იქნება განვახორციელოთ იგი.

ჩვენ საფუძველი არა გვაქვს დავეჭვდეთ იმაში, რომ ინგლისის მთავრობაც ამავე შეხედულებისაა.

ხელმოწერილ ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ორივე მხარე იხელმძღვანელებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირისა და შეერთებული სამეფოს მთავრობები დარწმუნებული არიან, რომ საფუძველს ყველა სახელმწიფოს მეგობრული თანამშრომლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი სისტემებისა, წარმოადგენს ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა.

ბევრი სახელმწიფო უკვე ხელმძღვანელობს ამ პრინციპებით თავის საერთაშორისო ურთიერთობაში. ეს ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარების საღი საფუძველია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოლაპარაკების შედეგად ჩვენი ქვეყნების მთავრობათა პოზიციები დაახლოვდა. ჩვენ ვცდილობთ მეგობრული ურთიერთობა გვქონდეს ინგლისთან არა იმ გზით, რომ გაუარესდეს მისი ურთიერთობა მის მეგობარ სახელმწიფოებთან. ინგლისს, რომელსაც მეგობრობა აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, შეუძლია ჩვენც დაგვეხმაროს კარგი ურთიერთობა დავამყაროთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

საკმაოდ კარგი ურთიერთობა დამყარდა ჩვენსა და საფრანგეთს შორის. სამწუხაროდ, ჩვენ სრულიადაც არა გვაქვს საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ჩვენი მხრივ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან გაუმჯობესდეს.

საეჭვოა ვინმეს შეეძლოს იმის უარყოფა, რომ განიარაღების პრობლემა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ხალხები მოელიან კონკრეტულ ღონისძიებებს სახელმწიფოთა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შესამცირებლად, ატომური და წყალბადის იარაღის ასაკრძალავად. სულ უფრო ხმამაღლა გაისმის მათი მოთხოვნა, რომ ბოლო მოეღოს გამალებულ შეიარაღებას, რომ ადამიანებს შეეძლოთ თავისუფლად ამოისუნთქონ, თავი დაღწონ ახალი ომის საფრთხეს და მთელი ძალღონე მოახმარონ მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას.

როგორც ამბობენ საჭირო არ არის მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი. ჯერჯერობით განიარაღების პრობლემის საქმე ცუდად არის. თქვენ ლონდონში გაქვთ კარგი სასახლე ლანკასტერ-ჰაუზი. ამ სასახლეს ბევრი რამ უნახავს. მასში არაერთხელ შეკრებილან დიდ სახელმწიფოთა მინისტრები, ზოგ რაზეზე შეთანხმებულან, ისეც მომხდარა, რომ უშედეგოდ წასულ-წამოსულან. მაგრამ, შეიძლება ითქვას, ყველაზე საინტერესო სხდომები ახლა მიმდინარეობს, რადგან ამ სხდომებზე განიხილავენ უმნიშვნელოვანეს პრობლემას — განიარაღების პრობლემას. როგორ გგონიათ, უახლოვდებიან თუ არა თათბირის მონაწილენი ამ მიზანს? სრულიადაც არა. ზოგიერთი სამართლიანად აყენებს კითხვას: სწორად დაარქვეს თუ არა ამ ქვეკომიტეტს განიარაღების ქვეკომიტეტი? ხომ არ უნდა ეწოდებინათ მისთვის გამალებული შეიარაღების დაფარვის ქვეკომიტეტი? შეიძლება შეგვეკითხონ (თქვენ, ჟურნალისტებს, როგორც ცნობილია, სიტყვა როდი შემოგაკლდებათ), საბჭოთა კავშირიც ხომ არის ქვეკომიტეტის მონაწილეო? დიახ, არის: ჩვენ კარგი წინადადებანი შევიტანეთ განიარაღების შესახებ. მთელ რიგ საკითხებზე ჩვენ მოვითხოვეთ, რომ მიეღოთ წინადადებანი, რომლებიც წინათ დასავლეთის სახელმწიფოებმა შეიტანეს, მაგალითად, ხუთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების დონის შესახებ. მაგრამ ახლა ჩვენ გვიხდება ამ წინადადებათა დაცვა ამავე სახელმწიფოთა წარმომადგენლების წინაშე. როგორც კი დავეთანხმეთ ამ წინადადებებს, მათ მაშინვე უარყვეს ისინი. იქნებ თქვენ იცოდეთ, რა მოხდა აქ? ჩვენთვის კი ეს გამოცანაა.

საბჭოთა მთავრობას არაერთხელ შეუტანია კონსტრუქციული წინადადებანი, რომელთა მიღება რეალური ნაბიჯი იქნებოდა განიარაღების საკითხის გადაჭრის გზაზე. ჩვენ იმის მომხრე ვიყავით და ვართ, რომ ატომური და ატომგულის იარაღი უთუოდ აიკრძალოს, მტკიცედ მოვითხოვთ აიკრძალოს ამ იარაღის გამოცდა.

ჩვენ კმაყოფილებას გამოვთქვამთ იმასთან დაკავშირებით, რომ მოლაპარაკების მსვლელობაში ორივე მხარე შეთანხმდა იმაზე, რომ ატომგულის ომის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნა განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. ჩვენ ვაღიარეთ, რომ ატომგულის იარაღის საბოლოო აკრძალვა და ატომის ენერგიის მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი საჭიროებებისათვის გამოყენება ჩვენი მთავრობების საერთო მიზანია, და ისინი განაგრძობენ თავიანთ ღონისძიებებს ამ მიზნის მისაღწევად.

ამასთან ერთად ორივე მხარემ აღიარა, რომ საჭიროა მიღწეულ იქნას შეთანხმება, რომ დაუყოვნებლივ გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები, რათა არსებითად შემცირდეს სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები, შესაბამისად შემცირდეს შეიარაღება, და უწინარეს ყოვლისა შემცირდეს ხუთი დიდი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები და შეიარაღება. ეს ღონისძიებანი განხორციელდება სათანადო კონტროლით.

თქვენთვის ცნობილია, რომ საბჭოთა მთავრობამ 1956 წლის 27 მარტს შეიტანა ახალი წინადადება განიარაღების საკითხზე. ამ წინადადებას ახლა განიხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტი.

ითვალისწინებს რა, როგორც გამოცდილებამ ცხადყო, რომ შეუძლებელია შეთანხმება მთლიანად განიარაღების მთელ პრობლემაზე, საბჭოთა მთავრობამ შეიტანა წინადადება, რომ ჯერ მიღწეულ იქნას შეთანხმება სახელმწიფოთა ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხზე. აქვე უნდა ითქვას, დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფო წინათ საკითხის სწორედ ასეთ გადაწყვეტას უჭერდა მხარს, მაგრამ ახლა იგი რატომღაც შეუფერებლად მიაჩნია. მათ არა სურთ დათანხმდნენ ატომური იარაღის აკრძალვაზე, არა სურთ შეთანხმდნენ მთლიანად განიარაღების პრობლემაზე, აყენებენ დაუსრულებელ პირობებსა და შენიშვნებს, რომლებშიც, როგორც იტყვიან, თვით ეშმაკი მოიტეხს ფეხს. ახლა კი, როცა არის წინადადება გადაიჭრას ჩვეულებრივი შეიარაღების საკითხი, თურმე ესეც შეუფერებლად მიაჩნიათ.

ვიქონიოთ იმედი, რომ დიდი სახელმწიფოები მაინც გამონახავენ შესაძლებლობას გადადგან წინ რაღაც პრაქტიკული ნაბიჯები გამალებული შეიარაღების შეწყვეტის საქმეში. ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირი კვლავაც გააკეთებს ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია, იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ამ ამოცანის გადაჭრას.

ინგლისს უწევს რა დასავლეთის სახელმწიფოებს და იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნას საჭირო შეთანხმება, საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ იგი მზად არის ერთდროულად განიხილოს ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების საკითხი და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საკითხი ისე, რომ ჩვეულებრივი შეიარაღების საკითხზე შეთანხმების მიღწევა დამოკიდებული არ გახადოს ატომური იარაღის საკითხზე შეთანხმებისაგან.

ჩვენსა და ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებს შორის მოხდა აზრთა ურთიერთგაზიარება ახლო და შუა აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ. ჩვენ ვუთხარით ჩვენს თანამოსაუბრეებს ჩვენი თვალსაზრისი ამ რაიონში ვითარების გამწვავების მთავარი მიზეზის შესახებ და განვაცხადეთ, რომ, საბჭოთა მთავრობის აზრით, ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში საერთაშორისო კონფლიქტებისა და უთანხმოებათა მთავარი წყაროა, არაბთა სახელმწიფოებსა და ისრაელს შორის, აგრეთვე სხვა ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუარესების მიზეზია ისეთ სამხედრო დაჯგუფებათა შექმნა, როგორიც არის ბაღდადის პაქტი. ინგლისის მხარე არ იზიარებს ჩვენს შეხედულებას ამ საკითხში. ჩვენ თავის მხრივ არ შეგვეძლო სწორად გვეცნო ინგლისის წარმომადგენლთა აზრი ამ საკითხზე.

როგორც ხედავთ, აქ ჩვენ სხვადასხვა პოზიციაზე ვდგავართ.

ამასთან ერთად, აზრთა სასარგებლო ურთიერთგაზიარების შედეგად ორივე მხარემ გამოთქვა მტკიცე განზრახვა გააკეთონ ყოველივე შესაძლებელი, რათა ხელი შეუწყონ მშვიდობისა და უშიშროების დაცვას ახლო და შუა აღმოსავლეთში, საჭირო დახმარება გაუწიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღონისძიებებს პალესტინის რაიონში მშვიდობის განმტკიცებისათვის. ჩვენ აგრეთვე შევთანხმდით, რომ ამ მიზნით უახლოეს მომავალში მიღებულ უნდა იქნას ეფექტიანი ღონისძიებანი დაინტერესებული ხალხების ეროვნულ მისწრაფებათა, მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესაბამისად და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების სრული შესაბამისობით. კერძოდ, ორივე მხარე მხარს დაუჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივას, რომლის მიზანია არაბთა სახელმწიფოებსა და ისრაელს შორის სადავო საკითხების ურთიერთმისაღებ საფუძველზე მშვიდობიანი მოწესრიგების უზრუნველყოფა.

საბჭოთა კავშირს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში არა აქვს სხვა ინტერესები, გარდა მშვიდობისა და ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობის ინტერესებისა — მათი ეროვნული დამოუკიდებლობის პატივისცემის, სუვერენიტეტის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე. ჩვენ ვიცავდით ამ პრინციპებს და კვლავაც დავიცავთ მათ, რაც გულახდილად განვუცხადეთ ჩვენს ინგლისელ კოლეგებს.

მიღწეული შეთანხმება ახლო და შუა აღმოსავლეთის საკითხებზე ცოტა შესაძლებლობებს როდი უქმნის ორივე ქვეყანას უჩვენონ მაგალითი მშვიდობის საქმისათვის საერთო შუშაობისა ისეთ დიდმნიშვნელოვან რაიონში, როგორიც არის ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონი.

მოლაპარაკებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარების საკითხს. ორივე მხარემ გასაგები მიზეზებით გამოიჩინა ინტერესი ამ დარგში ახალ შესაძლებლობათა გამონახვისადმი.

ინგლისში ჩამოსვლისას ჩვენ გულახდილად განვაცხადეთ, რომ გვსურს მეტი ვიყიდოთ ინგლისური საქონელი და მეტი გავყიდოთ ჩვენი საქონელი ინგლისში. ჩვენ აგრეთვე განვაცხადეთ, რომ ასეთ სურვილს გამოვთქვამთ არა იმიტომ, რომ არ შეგვიძლია ვიარსებოთ, თუ ინგლისური საქონელი არ გვექნა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენთვის უფრო ხელსაყრელი იქნება ინგლისში ვიყიდოთ ზოგიერთი საქონელი, ვიდრე ჩვენ ვაწარმოოთ. ინგლისელებისთვის კი უფრო ხელსაყრელი იქნება იყიდონ ზოგიერთი საქონელი საბჭოთა კავშირში, ვიდრე თვითონ აწარმოონ ან ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში იყიდონ სხვა ქვეყნებში.

განცხადებიდან თქვენ უკვე იცით, რომ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმებულია სოლიდური მოცულობა საბჭოთა შესყიდვებისა ინგლისში და ინგლისის შესყიდვებისა სსრ კავშირში. ჩვენ განვაცხადეთ, რომ, თუ არ იქნება შეზღუდვები და დისკრიმინაცია ვაჭრობაში, საბჭოთა კავშირს შეუძლია უახლოეს ხუთ წელიწადში, 1956 წლიდან 1960 წლამდე, გაადიდოს შესყიდვები დიდ ბრიტანეთში დაახლოებით 9-11 მილიარდ მანეთამდე, ესე იგი 800 მილიონ-ერთ მილიარდ გირვანქა სტერლინგამდე, აქედან გაანაწილოს დაკვეთები სხვადასხვა მოწყობილობასა და გემებზე დაახლოებით 4-5 მილიარდი მანეთისა და სამრეწველო და ნედლეული საქონლის ფართო სიით შესყიდვა დაახლოებით 5-6 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

ვლაპარაკობთ რა ვაჭრობაზე ინგლისსა და ჩვენს ქვეყანას შორის, გვინდა ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირი იყო და არის საერთაშორისო ვაჭრობაში ყოველგვარი დისკრიმინაციული შეზღუდვის მოწინააღმდეგე. ეს შეზღუდვები, როგორც ცნობილია, ცივი ომის პროდუქტია. მაგრამ დრო იცვლება და უკვე შეიცვალა, და ამიტომ დადგა დრო სანაგვე ყუთში გადავყაროთ ასეთი შეზღუდვები და ფართოდ გავუღოთ კარი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობას. ეს დიდ ეკონომიურ შესაძლებლობებს შეუქმნიდა, როგორც მიღებულია თქმა, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გვესმის ინგლისის დელიკატური მდგომარეობა ამ საკითხში. მაგრამ ინგლისელები პრაქტიკული და საქმიანი ადამიანები არიან, ისინი, ალბათ, ადრე თუ გვიან თვითონვე გამონახავენ შესაბამის დელიკატურ ფორმებს, რათა ვაჭრობაში არსებული დისკრიმინაციული შეზღუდვების პოლიტიკა შეცვალონ უფრო საღი სავაჭრო პოლიტიკით.

ჩვენ მხოლოდ მივესალმებით ამას.

ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობას მარტო ეკონომიური მნიშვნელობა როდი აქვს. ვაჭრობა გზას უკაფავს სახელმწიფოთა შორის ნდობის დამყარებას, აახლოებს მათ, ვაჭრობის საშუალებით მყარდება ფართო კავშირი ადამიანებს შორის. ჯანსაღ საფუძველზე ვაჭრობა ხელს შეუწყობს აგრეთვე პოლიტიკური საკითხების მოწესრიგებას. არ შეიძლება სერიოზულად ვილაპარაკოთ განიარაღებაზე, თუ არ განვითარდა ვაჭრობა, თუ არ მოისპო ყოველგვარი შეზღუდვა და დისკრიმინაცია, რომლებიც გზას უღობავენ ქვეყნებს შორის ნორმალურ ურთიერთობას.

ახლა დაგვრჩა ვთქვათ ჩვენს შეთანხმებაზე ჩვენი ქვეყნებისათვის მეორე მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხის შესახებ — კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში კონტაქტებისა და კავშირის შემდგომი განვითარების საკითხის შესახებ. საჭირო არ არის იმის თქმა, რომ ასეთი კავშირის გაფართოება ხელს უწყობს ერთიმეორის უკეთ გაგებას, სულიერი ფასეულობებით ორივე ხალხის ურთიერთგამდიდრებას, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მიღწევების გაცვლას. ჩვენი მოლაპარაკება ამ საკითხზე ნაყოფიერი იყო და მისი შედეგები გამოხატულია შესაბამის დოკუმენტში, რომელიც ერთობლივი განცხადების შემადგენელი ნაწილია.

როგორც თქვენ თვითონ შეგიძლიათ ინსჯელოთ ამ დოკუმენტის მიხედვით, დასახულია ისეთი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უკვე უახლოეს დროში გაცილებით უფრო მაღალ დონეზე აიყვანს ერთი ქვეყნის მიღწევებთან მეორე ქვეყნის მოქალაქეთა გაცნობის საქმეს ლიტერატურის, ფერწერის, სკულპტურის, თეატრის, მუსიკის, კინოს, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის დარგში, აგრეთვე მეცნიერების, ტექნიკის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში გათვალისწინებულია საბჭოთა მოქალაქეების ინდივიდუალური და ჯგუფური მოგზაურობის რაოდენობის გაღიდება შეერთებულ სამეფოში და პირიქით.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ჩვენს ორ ქვეყანას შორის კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური, სპორტული და სხვა ურთიერთობა შეიძლება განვითარდეს და კიდევაც განვითარდება ფართო საფუძველზე.

ასეთია ჩვენი მოლაპარაკების ძირითადი შედეგები. რას მოწმობენ ისინი? პირველ რიგში იმას, რომ კეთილი ნების არსებობისას და მხარეთა ურთიერთ ინტერესების გათვალისწინებით შეიძლება რამდენადმე გადაილახოს სერიოზული უთანხმოებანი და მიღწეულ იქნას დადებითი შედეგები როგორც ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საკითხების, ისე სხვა საერთაშორისო პრობლემების დარგში.

ჩვენი მოლაპარაკების დროს ნ. ს. ხრუშჩოვმა და მე საბჭოთა მთავრობის სახელით მივიწვიეთ ბ-ნი პრემიერ-მინისტრი ჩამოვიდეს ვიზიტით საბჭოთა კავშირში. ბ-ნმა პრემიერ-მინისტრმა მიიღო ეს მიწვევა. მის სხვა ვალდებულებათა გამო, ჩამოსვლის დრო ჯერ დადგენილი არ არის. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს ქვეყანაში სერ ანტონი იდენის ჩამოსვლას დიდი მნიშვნელობა ექნება ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ხელს შეუწყობს აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას.

დასასრულ, ვსარგებლობთ რა ამ პრეს-კონფერენციით, გვსურს გადავცეთ შეერთებული სამეფოს ხალხებს ბედნიერებისა და აყვავების საუკეთესო სურვილები, ვუსურვოთ წარმატება მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში“.

პრეს-კონფერენციაზე ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს მისცეს კითხვები.

კითხვა (ინგლისური გაზეთი „სანდი პიქტორიელი“): კმაყოფილი არიან თუ არა საბჭოთა ხელმძღვანელები იმ მიღებით, რომელიც მათ ინგლისელმა ხალხმა მოუწყო?

ნ. ა. ბულგანინი: დიახ, კმაყოფილი ვართ.

ნ. ს. ხრუშჩოვი: ძალიან კმაყოფილი ვართ.

კითხვა (ინგლისური გაზეთი „დეილი მირორი“): 23 აპრილს ბირმინჰამში გამოსვლისას ბ-ნმა ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ ბორკილი, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობას ბოჭავს, უნდა გაწყდეს და გაწყდება. როგორ უკავშირდება ეს განცხადება განცხადებას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირი არ აპირებს სოლები ჩასვას ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში?

ნ. ს. ხრუშჩოვი: ჩვენ ახლაც ვაცხადებთ, რომ არათუ არა გვსურს სოლების ჩასმა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის, არამედ გვსურს ასეთი სოლების ამოძრობა, რათა ამ ქვეყნებსა და ხალხებს შეეძლოთ დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ჩვენი მხრივ გვსურს დავუახლოვდეთ ინგლისელ ხალხს, ინგლისის სახელმწიფოს, დავუახლოვდეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ყოველ სახელმწიფოს, რომელიც დგას თანაარსებობისა და მშვიდობის პოზიციებზე. რაც შეეხება ვაჭრობის საკითხს, შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის სოლი მართლაც ჩასობილია, მაგრამ არა ჩვენ მიერ, არამედ შეერთებული შტატების მიერ. ინგლისი, ჩვენი აზრით, დაინტერესებულია იმ ბორკილის გაწყვეტით, რომელზეც აქ იყო ლაპარაკი, რათა გამოვიდეს საერთაშორისო ვაჭრობის ფართო გზაზე. ეს ინგლისის ინტერესების შესაბამისი იქნებოდა.

კითხვა (პოლონეთის პრესის სააგენტო): მშვიდობიანი თანაარსებობის როგორი პერსპექტივები დაისახა დამთავრებული მოლაპარაკების შედეგად?

ნ. ა. ბულგანინი: პერსპექტივები, ჩვენი შეხედულებით, ძალიან კარგია. ჩვენი აზრით, ეს პერსპექტივები შემდეგში გაუმჯობესდება.

კითხვა: გსურთ თუ არა

ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის პრეს-კონფერენცია ლონდონში

(დასასრული)

ნი ადამიანები ვერ იღებენ ამერიკელ ხელისუფალთაგან იქ შესვლის ნებართვას. ამას წინათ ამერიკელ ხელისუფლებს შეეშინდათ შეეშვათ იქ ჩვენი მზარეულები, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიწვიეს, ალბათ, ეშინოდათ, რომ მათ კატლეტის მაგივრად სხვა რამე არ გაეკეთებინათ **(გამოცოცხლება დარბაზში)**. ვწუხვართ, რომ არის ასეთი დამოკიდებულება, და იმედი გვაქვს, რომ იგი შეიცვლება უკეთესისაკენ ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის.

კითხვა: შეიძლება მოველოდეთ ინფორმაციის გამოქვეყნებას ტექნიკის დარგში საბჭოთა მიღწევების შესახებ?

ნ. ა. ბულგანინი: კითხვა ძალიან ზოგადი ფორმისაა. რაც შეეხება მეცნიერებას, ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს ასეთი ინფორმაციის გაცვლას.

კითხვა (შოტლანდიური გაზეთი „გლაზგო ბიულეტინი“): რას ფიქრობთ ბრიტანეთში მუშაობისა და ცხოვრების პირობების შესახებ? საბჭოთა პრესაში ზოგჯერ არის ცნობები, რომ აქ ცხოვრების პირობები ცუდია.

ნ. ს. ხრუშჩოვი: ცნობილია, რომ ინგლისმა თავისი მეურნეობისა და კულტურის განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, მაგრამ ჩვენ შესაძლებლობა არ გვქონდა უშუალო ურთიერთობა დაგვემყარებინა რიგითს ინგლისელებთან და გვესაუბრა მათთან. ჩვენ ისინი, უმთავრესად, ვნახეთ ავტომობილის მინიდან, როცა თქვენი ქალაქების ქუჩებში მივდიოდით. ამიტომ ამ კითხვაზე დაწვრილებითი პასუხის მოცემა გვეძნელება.

კითხვა (ლონდონის სააგენტო ახლო და შუა აღმოსავლეთში): მისცემთ თუ არა თავისუფლად ვიზებს ჟურნალისტებს საბჭოთა კავშირში ჩამოსასვლელად?

ნ. ს. ხრუშჩოვი: ჩვენ არავისთვის არ გვითქვამს უარი ვიზებზე. ჩვენ ვიზებს ვაძლევთ იმ ადამიანებსაც კი, ვინც საბჭოთა კავშირზე ბევრ არასასიამოვნო და, რაც მთავარია, არასწორ ცნობებს წერს. ჩვენ ვიზებს ვაძლევთ ისეთ ადამიანებსაც კი, რომლებიც არ გვესიამოვნებიან.

კითხვა (ინგლისური გაზეთი „დეილი ექსპრესი“): ნებას დართავს თუ არა საბჭოთა კავშირი ნაცვალგების საფუძველზე დასავლეთის საინსპექციო ჯგუფებს ნახონ მათი ტერიტორიის ყოველი პუნქტი და შეამოწმონ, აწარმოებენ თუ არა ატომურ და წყალბადის ბომბებს?

ნ. ს. ხრუშჩოვი: ამხანაგი გრომიკო გაჭაღარავდა ასეთ კითხვებზე პასუხის მიცემით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში. წაიკითხეთ მისი სიტყვები ამ ქვეკომიტეტის სხდომებზე. იქ ყველაფერია ნათქვამი. **(გამოცოცხლება დარბაზში, შეძახილები: მას ჯერ არა აქვს ჭაღარა)**. მე ვწინასწარმეტყველებ, რომ ის შეიძლება გაჭაღარავდეს, სანამ ისინი იქ შეთანხმდებიან.

კითხვა: საბჭოთა კავშირი მეტად ძლიერი სახელმწიფოა, მაგრამ მისი ძლიერება ცოტას ხელშია თავმოყრილი. ეს საფრთხეს უქმნის დანარჩენ მსოფლიოს. რას ვარაუდობთ თქვენ გააკეთოთ, რომ აღმოფხვრათ ეს საფრთხე?

ნ. ს. ხრუშჩოვი: უკანასკნელ ხანს ჩვენ არ გვქონია აღწერა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 200 მილიონ კაცს. მაშასადამე, საბჭოთა კავშირის ძლიერება თავმოყრილია 400 მილიონ ხელში. ეს რაოდენობა კიდევ გაიზრდება.

ნ. ა. ბულგანინი: სულ ცოტა, 3 მილიონი კაცით წელიწადში, ესე იგი 6 მილიონი ხელით წელიწადში. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

კითხვა (კემსლის ჟურნალ-გაზეთების გაერთიანება): გექნებათ თუ არა თქვენ უფრო იაფი მანეთი ტურისტებისათვის?

ნ. ს. ხრუშჩოვი: ჩვენი მანეთი ღირს იმდენი, რამდენიც უნდა ღირდეს.

კითხვა (ამერიკის ეროვნული რადიომაუწყებლობის კომპანია): განცხადებაში აღნიშნულია მისწრაფება შემცირდეს გამალებული შეიარაღება. შეამცირებს საბჭოთა კავშირი ან დაარწმუნებს თუ არა სხვა მეგობარ სახელმწიფოებს შეამცირონ იარაღის მიწოდება შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში?

ნ. ს. ხრუშჩოვი: ეს მეტად დელიკატური კითხვაა, მაგრამ პასუხს თავს არ ავარიდებთ. ჩვენ, კაცმა რომ თქვას, არავის არ ვაწვდით იარაღს და გვსურს, რომ სხვა ქვეყნებიც ასევე მოქმედებდნენ. მაგრამ იარაღს აწვდიან. ამიტომ, თქვენ რომ გითხრათ, იარაღის მიყიდვის ყოველ თხოვნაზე ჩვენ უარს ვეტყვითო, მაშინ ისეთ პასუხს მოგცემდით, რომელიც სწორი არ იქნებოდა სახელდობრ იმიტომ, რომ სხვა ქვეყნები ჰყიდიან იარაღს. ამიტომ ჩვენი პოზიცია შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: რომ შეიძლებოდეს შეთანხმება ყველა ამ საკითხზე ყველა ქვეყანას შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საშუალებით ან რაიმე სხვა გზით, ჩვენ მხარს დავუჭერდით ამას და მივესალმებოდით ასეთ შეთანხმებას. იგი შესაძლებელს გახდიდა შექმნილიყო პირობები მშვიდობიანი და მშვიდი ცხოვრებისათვის მსოფლიოს იმ ადგილებში, სადაც ახლა შეშფოთების ელემენტები ემჩნევა. ჩვენ თავს არ ავარიდებდით ასეთ კარგ საქმეში მონაწილეობას, რადგან იგი სარგებლობას მოუტანს კაცობრიობას.

კითხვა (ფრანგული გაზეთი „ფრანს-სუარი“): გსურთ თუ არა ეწვიოთ მოკლე ხანში საფრანგეთს?

ნ. ს. ხრუშჩოვი: ჩვენ დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლები ვართ, და მეტად დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია. ამიტომ ჩვენ დროს ისე ვერ ვიყენებთ, როგორც იყენებს მას ტურისტი. ჩვენი მოგზაურობისათვის დროის შერჩევა, ბუნებრივია, შეზღუდულია. მაგრამ, თუ მომწიფდება პირობები და წარმოიშობა საჭიროება, მზად ვართ გავემგზავროთ ყოველ ქვეყანაში.

კითხვა: მიგაჩნიათ თუ არა, რომ მიაღწიეთ შედეგებს თქვენი მოგზაურობის დროს და რომ თქვენი ყოფნა ინგლისში სასარგებლო იყო?

ნ. ს. ხრუშჩოვი: ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბევრ რამეს მივაღწიეთ და რომ ჩვენი მოგზაურობა მეტად სასარგებლო იყო. მთავარი, რასაც მივაღწიეთ, — ეს არის ნდობა ჩვენს შორის, საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის. ჩვენ უკეთ გავიცანით ერთმანეთი ინგლისელ ხელმძღვანელებთან შეხვედრების დროს. დავრწმუნდით, რომ არც ინგლისის ხალხს, არც მის მთავრობას არა სურთ ომი, ეს კი მთავარია. ამით ჩვენ მოგვეცა საერთაშორისო ვითარების უკეთ გაგებისა და ჩვენი პოლიტიკის სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობა.

ნ. ა. ბულგანინმა შემდეგ თქვა, რომ დრო, რომელიც გამოყოფილია პრეს-კონფერენციისათვის, სამწუხაროდ, უკვე ამოიწურა და რომ ვაგზალზე გამგზავრების დროა. ნება მიბოძეთ გამოგეთხოვოთ, ბატონებო, თქვა ნ. ა. ბულგანინმა, და გისურვოთ წარმატებანი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დასძინა: ნება მიბოძეთ გისურვოთ წარმატებანი სწორ, ობიექტურ ინფორმაციაში, რომელიც ხელს შეუწყობდა ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

მის აღმაჯებულებას შეერთებული სამეფოს პრემიერ-მინისტრს სერ ანტონი იდენს

ვტოვებთ რა თქვენს ქვეყანას, ერთხელ კიდევ გულითად მადლობას მოგახსენებთ შეერთებული სამეფოს მთავრობასა და პირადად თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, მეგობრული მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის. სალამს ვუთვლით ბრიტანელ ხალხს, რომელსაც საბჭოთა კავშირის ხალხები დიდი სიმპათიითა და მეგობრული გრძნობით ეპყრობიან. გულწრფელად გვსურს, რომ საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ სამეფოს შორის ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს ურთიერთგაგება, თანამშრომლობა და მეგობრობა ჩვენი ქვეყნების ხალხთა ინტერესებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის.

ნ. ბულგანინი, ნ. ხრუშჩოვი.

რადიოგრამა კრეისერ „ორჯონიკიძის“ გემბანიდან.
1956 წლის 27 აპრილი.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საკავშირთაშორისო კონფერენცია

27 აპრილს დილით გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა მეოთხე რესპუბლიკური საკავშირთაშორისო კონფერენციის მეორე სხდომა. გრძელდებოდა კამათი საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ნ. ი. ჯალხუა — აფხაზეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე, გ. მ. ებრალიძე — ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორი, დ. გ. მამამთავრიშვილი — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, ს. ა. მიქელაძე — სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, ლ. ი. მაღლაფერიძე — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, ი. ს. ორჯონიკიძე — ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მნგრეველი, გ. გ. მაზმანიშვილი — აჭარის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე, გ. ი. ქორქოლაძე — ამიერკავკასიის რკინიგზის რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე, ზ. ნ. კაკეხელი — საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრი, გ. ი. დოლიძე — წითლის მტს-ის კომბაინერი, ე. პ. კაპანაძე — ჭიათურის შავი მეტალურგიის მუშათა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე, გ. ა. რობაქიძე — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი, ა. ლ. ხუციძე — ქუთაისის ავტომუშკომბინატის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე, ს. ნ. აგრბა — გაგრის ციტრუსეების საბჭოთა მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე, ა. ვ. მელაძე — საქართველოს სსრ აგდგილობრივი მრეწველობის მინისტრი, ი. ო. ობოლაძე — „ტყიბულჩეესის“ მეგვირაბეთა ბრიგადირი, ა. ი. ლაბაძე — კომუნალური მეურნეობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, ა. გ. ამირბეკიანი — ახალქალაქის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.

კონფერენციამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ამხ. დ. ზ. ცირეკიძის მოხსენება.

სამანდატო კომისიის მოხსენება ერთხმად დამტკიცეს.

კონფერენციამ აირჩია კომისია, რომელიც შეიმუშავებს დადგენილების პროექტს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საანგარიშო მოხსენების გამო.

ამით დამთავრდა კონფერენციის მეორე სხდომა.

27 აპრილს საღამოს გაიმართა კონფერენციის მესამე სხდომა. გრძელდებოდა კამათი საანგარიშო მოხსენებათა გამო.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ი. ი. კოზლოვი — საკავშირო პროფსაბჭოს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის განყოფილების გამგე, ე. ი. ალავიძე — თბილისის კამვოლმაუდის კომბინატის გადამზვევი, ა. დ. ბულგაკოვი — სტალინირის მექანიკური ქარხნის სამსხმელო საამქროს უფროსი.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მეჟავნაძემ.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. მ. ლელაშვილმა.

კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მუშაობა საანგარიშო პერიოდში ცნოს დამაკმაყოფილებლად.

კონფერენციამ დამტკიცა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

დელეგატები შეუდგნენ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნებს.

დაასახელეს კანდიდატურები ფარული კენჭისყრისათვის.

ამით დამთავრდა მესამე სხდომა.

* * *

28 აპრილს გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა მეოთხე რესპუბლიკური საკავშირთაშორისო კონფერენციის საბოლოო სხდომა.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საანგარიშო მოხსენების გამო.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობის არჩევის შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ მიეცა დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს ამხ. გ. დ. შარაძენიძეს. იგი აცხადებს, რომ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში დასახელებული ყველა კანდიდატი არჩეულია.

ამით კონფერენციამ დაამთავრა მუშაობა. (საქდესი).

საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი

28 აპრილს გაიმართა საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს პირველი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები.

საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. მ. მ. ლელაშვილი.

საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს მდივნად არჩეულია ამხ. ი. პ. ხეთაგური.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში არჩეული არიან ამხანაგები ს. ი. ბაზტაძე, ი. ე. ვადოვი, ე. მ. ოვეთაძე, გ. კ. ძიძიგური, გ. ი. ყორყოლაძე, გ. შ. იმნაიშვილი, გ. კ. კასპაროვი, მ. მ. ლელაშვილი, ლ. ი. მაღლაფერიძე, ნ. ფ. თათრიშვილი, ი. პ. ხეთაგური, დ. ზ. ცირეკიძე, ი. ს. ჩოჩია, ი. დ. ჭუმბურიძე.

საქართველოს პროფსაბჭოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. რ. ა. აეტისოვი. (საქდესი).

მეფეხსაცმელე რაციონალიზატორები

ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის გაძლიერებით უპასუხებენ თბილისას მოწინავე საწარმოს — ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის რაციონალიზატორები სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებს.

— ტექნიკურ სიახლეთა დანერგვით, ტექნიკის გაუმჯობესებით გავუადვილოთ საწარმოს კოლექტივს პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულება! — ასეთი ვალდებულება იკისრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებათა გაცნობისას ფაბრიკაში მომუშავე რაციონალიზატორებმა, რომლებიც პირნათლად ანაღდებენ ამ ვალდებულებას.

ფაბრიკის ქიმიკოსმა გ. კობერიძემ ახალი წებოს რეცეპტი შექმნა. მის მიხედვით დამზადებული წებო გაცილებით უფრო მაღალთვისებიანია, ნაკლები რაოდენობით არის საჭირო, რაც საწარმოს წლიურად სულ ცოტა 25 ათას მანეთ ეკონომიას მისცემს.

მექანიკოსმა შ. კუბლაშვილმა მოაწყო სასიგნალიზაციო მოწყობილობა, რომელიც ავტომატურად უწევს კონტროლს მასალის საშრობ კამერებში ჰაერის შეუფერხებელ ცირკულაციას. ასევთა ავტომატურმა სიგნალიზაციამ დიდად აამაღლა ფეხსაცმლის ხარისხი.

მუშა-რაციონალიზატორმა ა. ფეიერშვილმა კანტის დამტკეცი ძველი ტიპის მანქანა, რომელიც მუშაობის დროს ხმაურობდა, უხმაუროდ მოქმედი მოწყობილობით შეცვალა. ამასთან, თუ წინათ ასეთ მანქანას ორი კაცი უწევდა მომსახურებას, ახლა მხოლოდ ერთი კაცი სჭირდება, პროდუქციას კი იმავე მოცულობისას იძლევა.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში საყურადღებო რაციონალიზატორული წინადადებები შეიტანეს მექანიკოსმა გ. ჩერკაშინმა, ცვლის უფროსმა ნ. არველაძემ, მოწინავე მუშამ ლ. თუმანიანმა და მექანიკოსმა ე. სეირანოვმა.

ო. ლეგანიძე.

საქართველოს კულტურის მუშაკთა თათბირი-სემინარი

ამას წინათ თბილისში მოეწყო მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების კულტურის განყოფილებათა გამგეების და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მუშაკთა თათბირი-სემინარი. იგი მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს.

მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების ამოცანები“ გააკეთა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ამხ. ა. გუნიამ. თათბირმა მოისმინა აგრეთვე მოხსენებანი ცალკეულ აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ამ დაწესებულებათა მუშაობასთან — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ცენტრალური სალექციო ბიუროს დირექტორის ამხ. ვ. გურგენიძისა, სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსის ამხ. ი. ახვლედიანისა, კინოფიკაციის სამმართველოს უფროსის ამხ. პ. კობახიძისა, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილის ამხ. ვ. ქიქოძის და ამ სამინისტროს კადრებისა და სასწავლებელთა განყოფილების უფროსის ამხ. ი. ტუსკაძისა.

მოხსენებებსა და კამათის მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი მოითხოვენ ახლებურად მოეწყოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშობა. ამ დაწესებულებებმა ფართოდ უნდა გააჩაღონ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, მჭიდროდ დაუკავშირონ მთელი თავიანთი საქმიანობა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას. კულტურის სახლებმა, კლუბებმა, წითელმა კუთხეებმა, ბიბლიოთეკებმა, მუზეუმებმა თავიანთი მუშაობით ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ პრძოლას მეექვსე ხუთწლედის დიდი ამოცანების განხორციელებისათვის.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის ყველა პირობა მოიპოვება. რესპუბლიკაში შექმნილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ყსელე. მარტო ამ უკანასკნელ ორ წელიწადში იგი 334 ერთეულით გადიდდა. კულტურის კერებში დიდი კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა მიმდინარეობს. ამ საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეკონომიური, სასოფლო-სამეურნეო, მეცნიერულ-ათეისტური ცოდნის პროპაგანდას, რომელშიც მონაწილეობს 7.000-ზე მეტი შტატის და შტატგარეშე ლექტორი, 835 ლექტორთა ჯგუფი და სასოფლო ლექტორიუმი. კულტურის სახლებში, კლუბებში მოეწყო დაახლოებით 6.500 ზოგადსაგანმანათლებლო, ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, მხატვრული თვითმოქმედების წრე, რომლებიც აერთიანებენ 100 ათასზე მეტ კაცს.

წმრომელებში პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელებაში, მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდაში დიდი ოლი ეკუთვნის ბიბლიოთეკებს. შარშან ბიბლიოთეკებმა მომსახურება გაუწიეს ნახევარ მილიონზე მეტ მუდმივ მკითხველს, გასცეს რვა მილიონზე მეტი წიგნი.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დიდმნიშვნელოვანი უბანია კინო. მშრომელთა კინომომსახურების დარგში მუშაობა რამდენადმე გაუმჯობესდა. მთელმა რიგმა კინოთეატრებმა პირველითვე მოიპოვეს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით.

მაგრამ, როგორც მომხსენებლებმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, საქართველოს ბევრი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობა ჯერ კიდევ ჩამორჩება ჩვენს მჩქეფარე, მრავალფეროვან ცხოვრებას, ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებებს. ლექციური პროპაგანდა ხშირად მოწყვეტილია კონკრეტულ, პოლიტიკურ და სამეურნეო ამოცანებს. საკმაო ყურადღება არ ექცევა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა მოწინავე გამოცდილების პოპულარიზაციას.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ლექციური პროპაგანდის საკითხებს. ახლა იგი უნდა დაექვემდებაროს მშრომელებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა და მასალების ღრმა ახსნა-განმარტებას, იმ ბრძოლის გაშუქებას, რომელსაც საბჭოთა ხალხი ეწევა მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

თათბირის მონაწილეებმა ალაპარაკებდნენ, თუ რა აქტიურობით აჩაღებენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცი წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებას საბჭოთა კულტურის მუშაკები. ამ მუშაობაში ებრძვიან საქართველოს კულტურის მუშაკებიც. ამოცანა ის არის, რომ მეაფოდ ვიჩვენოთ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში ის უდიდესი წარმატებანი, რომლებიც ქართველმა ხალხმა მოიპოვა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მოწინავე გამოცდილება. მათთვის წიკითხულ იქნა ლექციები სსრ კავშირში ტექნიკური პროგრესის მაღწევებზე, საერთაშორისო მდგომარეობაზე. ისინი დაესწრნენ საუკეთესო სპექტაკლებს თბილისის თეატრებში, დათვალიერეს ქალაქის მთელი რიგი მუზეუმები.

თათბირმა მიიღო მიმართვა საქართველოს კულტურის ყველა მუშაკისადმი და მოუწოდა მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. (საქდესი).

საბჭოთა ტელევიზიის 25 წელი

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ფართო წრეები ტელევიზიას უკანასკნელი 6-7 წელია რაც გაეცნენ, მაგრამ რადიომოყვარულთა პატარა ჯგუფმა ტელევიზორების ეკრანებზე გამოსახულებანი პირველად 25 წლის წინათ ნახა. ეს იყო 1931 წლის 29 აპრილს. ამ დღეს საბჭოთა რადიოს სპეციალისტებმა პ. ვ. შმაკოვისა და ვ. ი. არხანგელსკის ხელმძღვანელობით მოახდინეს შორ მანძილზე რადიოთი საცდელი გადაცემა. პირველი გადაცემები სრულყოფილი არ იყო, ეკრანებზე ბუნდოვნად ჩანდა გამოსახულებანი. მალე გადაცემათა გამოსახულების სიმკვეთრე გაუმჯობესდა და იმავე წლის ოქტომბრიდან დაიწყო სატელევიზიო პროგრამების გადაცემა მასობრივი მიღებისათვის.

საინტერესო გზა განვლო ტელევიზიამ თავისი შექმნიდან დღემდე. თუ გამოსახულებათა გადაცემა რადიოთი პირველად მექანიკური ხერხით წარმოებდა, 1938 წლიდან იგი ელექტრონიკით შეიცვალა. დადგა ელექტრონული ტელევიზიის ერა, რომელსაც საფუძვლად დაედო გამოჩენილი საბჭოთა რადიოსპეციალისტის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ს. ი. კატაევის ელექტრონული „თვალის“ გამოგონება. იმ დროს ახალგაზრდა მეცნიერმა დაამუშავა გამოსახულების გადამცემი ელექტრონ-სხივური მილაკი, რასაც იკონოსკოპი უწოდეს („იკონოს“ გამოსახულებას ნიშნავს, ხოლო „სკოპიო“ — თვალყურის დევნებას). ამ გამოგონებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სატელევიზიო ტექნიკის განვითარებაში.

1938 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა ლენინგრადის სატელევიზიო ცენტრი. საბჭოთა ქვეყანაში ტელევიზიის განვითარებას ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ომისშემდგომ დროში მოსკოვის სატელევიზიო ცენტრმა ევროპაში პირველმა განაახლა მუშაობა.

ტელევიზორის ეკრანზე ნაჩვენები გამოსახულების ხარისხი დამოკიდებულია სტრიქონების რიცხვზე, რომელიც გვაძლევს გამოსახულებას. რაც მეტი სტრიქონია, მით უფრო მკაფიო იქნება ეკრანზე მიღებული გამოსახულება. თუ საბჭოთა კავშირში პირველი სატელევიზიო გადაცემის დროს სტრიქონთა რაოდენობა 30 იყო, 1948 წლიდან მოსკოვისა და ლენინგრადის ტელეცენტრებში ეს რიცხვი 625 სტრიქონამდე იქნა აყვანილი. ეკრანებზე გამოსახულებათა სიმკვეთრე ასეთ შემთხვევაში მცირედ თუ ჩამოუვარდება კარგ კინოფილმს. ახალი სტანდარტი მიღებულ იქნა ჩვენი ქვეყნის ყველა ტელეცენტრისათვის. აღსანიშნავია, რომ გამოსახულებანი ამერიკაში 525, ხოლო ინგლისში 405 სტრიქონისაგან შედგება.

უკანასკნელ წლებში სატელევიზიო ტექნიკამ დიდი წარმატებები მოიპოვა. საკმარისია ითქვას, რომ განხორციელდა ფერადი ტელევიზია. მოსკოვის ტელეცენტრი უკვე აწარმოებს ფერად გამოსახულებათა საცდელ გადაცემებს.

სამეცნიერო-კვლევითის მუშაობასთან ერთად ფართოდ არის გაჩაღებული სატელევიზიო ცენტრების მშენებლობა. თუ ამჟამად ასეთი ცენტრები არსებობს მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ხარკოვში, რიგაში, სვერდლოვსკში, მინსკში, ვლადივოსტოკში, ტომსკში, ომსკში, ტალინში და კალინინში, წელს საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს ახალი ცენტრები სტალინოში, ტაშკენტში, ერევანში, თბილისში, ვილნიუსში, გორკში. მეექვსე ხუთწლედის მარტო პირველი წლის დასასრულს საბჭოთა კავშირში 20-მდე მოქმედი ტელეცენტრი იქნება. 1958 წლის ბოლოსათვის სატელევიზიო ცენტრები იმუშავებენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქებში, აგრეთვე მსხვილ სამრეწველო ცენტრებში. ტელეგადაცემები მოეწყობა ქალაქ-კურორტებზე — სოჭში, პიატიგორსკსა და იალტაში. ხუთწლედის დასასრულს სატელევიზიო გადაცემებს 25-30 მილიონი მაყურებელი ეყოლება — 6-8-ჯერ მეტი, ვიდრე შარშან. სატელევიზიო ცენტრების მშენებლობის გაიაფებისა და დაჩქარებისათვის მუშავდება ტიპური პროექტები.

ტელეცენტრების მოქმედების რადიუსი 60-80 კილომეტრია. მათი კოშკების სიმაღლე 180 მეტრს აღწევს, ხოლო ანტენებთან ერთად 192 მეტრია. გათვალისწინებულია აგრეთვე 300-მეტრიანი კოშკების დაპროექტება, რაც დიდად გაზრდის გადაცემათა რადიუსს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია დიდ სივრცეებზე აიგოს რადიორელეხაზები, რომლებიც შედგება ულტრამოკლე ტალღებზე მომუშავე რადიოსადგურებისაგან. ისინი „ესტაფეტით“ გადასცემენ გამოსახულებებს და შესაძლებელს გახდიან გაიცვალოს სატელევიზიო პროგრამები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, აგრეთვე დასავლეთ ევროპასთან. ასეთი წესით გადაცემულ ცენტრალურ პროგრამებს მიიღებს ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქი, მათ შორის თბილისი. იმ მიზნით, რომ გაიზარდოს ადგილობრივი ტელეცენტრების მოქმედების ზონა, თვითეულ მათგანს დაემატება მოკლე სარეტრანსლაციო ხაზი. მომავალში ასეთი ხაზი თბილისის სატელევიზიო ცენტრსაც ექნება და ჩვენი დედაქალაქის სატელევიზიო გადაცემებს შორეული რაიონებიც მიიღებენ.

ტელევიზიას იყენებენ სახალხო მეურნეობაშიც — დისპეტჩერები ეკრანებით ადევნებენ თვალყურს მატარებლების მოძრაობას, მეცნიერები ტელევიზორების დახმარებით სწავლობენ ოკეანეთა საიდუმლოებას, წარმოების მუშაკები ქარხნებში აკონტროლებენ ავტომატურ და შორ მანძილზე სამართავ მოწყობილობათა მუშაობას. ტექნიკურად ახლა უკვე შესაძლებელია, რომ ტელეფონის აპარატებთან დაიდგას ეკრანები, რომლებზეც მოსაუბრეები ერთმანეთს დაინახავენ. ასეთი „მხედველი ტელეფონი“ უკვე გამოსცადეს ლენინგრადში.

25 წლის მანძილზე ფართოდ განვითარდა საბჭოთა ტელევიზია. ახლ ხუთწლედში კიდევ უფრო სწრაფი ნაბიჯით წავა იგი წინ და შესანიშნავ წარმატებებს მოიპოვებს.

ა. კარაბელაშვილი.

პარტიული ცხოვრება

ლექციები და მოხსენებები პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებზე

ხულოს რაიონის მშრომელებში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხში, უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა. გაჩაღდა შემოქმედებითი შრომა ამ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

პარტიული განათლების ქსელში მიმდინარეობს პარტიის XX ყრილობის მასალების შესწავლა. ამ მიზნით რაიონში დამატებით შეიქმნა 7 წრე და თეორიული სემინარი. ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შემსწავლელთა დასახმარებლად რაიონში გაძლიერდა ლექციური პროპაგანდა. პარტიის რაიკომმა ამ უკანასკნელ დროს საგრძნობლად გააუმჯობესა ლექტორებისადმი დახმარება და კონტროლი. მოეწყო რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების ლექტორთა ჯგუფებისა და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრების რაიონული თათბირი. თათბირის მონაწილეებს გავაცანით რაიკომის ბიუროს მიერ დამტკიცებული ლექციებისა და მოხსენებების კალენდარული გეგმა. ლექტორებს განვმარტათ, თუ როგორ უნდა დაუკავშირონ ყრილობის მასალების შესწავლა ადგილობრივ ცხოვრებას, კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს.

პარტიის XX ყრილობის მასალების პროპაგანდისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწევა პარტიული ბიბლიოთეკა. აქ გამოფენილი პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა, აგრეთვე რაიონის ცხოვრების ამსახველი დიაგრამები დიდ დახმარებას უწევენ ჩვენს ლექტორებს XX ყრილობის მასალების პროპაგანდის საქმეში. ამჟამად კოლმეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში ლექტორები და მომხსენებლები კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს ყრილობის დირექტივებზე მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, თეორიულ საკითხებზე, რომლებიც ყრილობამ წამოაყენა, საბჭოთა ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებებზე.

რაიკომის ლექტორთა ჯგუფი 17 კაცს აერთიანებს. მაგრამ დროდადრო რაიკომი ლექტორებად იყენებს კვალიფიციურ ამხანაგებს რაიონის ინტელიგენციიდან, მაგალითად ექიმებს, აგრონომებს, მასწავლებლებს.

უმაღლესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მოეწყო კოლმეურნეთა საერთო კრებები სოფელ უჩხოს ანდრეევის, დიოკნისის პარიზის კომუნის, ოქტომბრის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში, სადაც პარტიის XX ყრილობის შედეგებისა და კოლმეურნეობათა მორიგი ამოცანების შესახებ მოხსენებები წაიკითხეს რაიკომის მდივნებმა, რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკებმა.

ღრმა ინტერესი გამოიწვია რაიონის მშრომელებში ლექციებმა თემებზე „სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებანი კომუნიზმის მშენებლობაში ახალი გამარჯვების მოპოვებისათვის საბჭოთა ხალხის საბრძოლო პროგრამაა“, „კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა კომუნიზმისათვის ბრძოლაში“, „სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა მეექვსე ხუთწლედში“, „სოციალიზმზე სხვადასხვა ქვეყნის გადასვლის ფორმების საკითხი“ და სხვ.

დიდი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში ჩატარდა თეორიული კონფერენცია, რომელიც პარტიის XX ყრილობის მასალების შესწავლას მიეძღვნა.

ხულოს რაიონული პარტიული ორგანიზაცია ზრუნავს იმისათვის, რომ კიდევ უფრო გააუმჯობესოს საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ხარისხი, ლექციური პროპაგანდა მჭიდროდ დაუკავშიროს ცხოვრებას, ჩვენს ყოველდღიურ პრაქტიკულ ამოცანებს და ამით ხელი შეუწყოს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებების წარმატებით განხორციელებას.

ა. შავაძე,

საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.



სურათზე: თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მოწინავე ამწყობი ზეინკალი ა. თორთლაძე, რომელიც პირველი მაისის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას და გეგმებს სისტემატურად ორმაგად ასრულებს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

★

რუსთავის მეფოლადეები და მებრძმედეები მეორე საკავშირო ადგილზე

რუსთავი. (საკ. კორ.). 26 აპრილს მოსკოვიდან რუსთავში მოვიდა დეპეშა, სადაც ნათქვამია, რომ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს კოლეგიამ და შავი მეტალურგიის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის და საბრძმედე საამქროების კოლექტივები მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით აღიარეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე საკავშირო ადგილზე გამოსულად.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია მრავალი ასი ტონა ფოლადი და თუჯი. განსაკუთრებით ისახელეს თავი მ. გორბაშვილისა და კ. პარასტაშვილის ცვლის მებრძმედეებმა, ა. ფანკულიას და გ. სიგუას ბრიგადის მეფოლადეებმა.

სასახელო ცნობამ მეტალურგებში საერთო აღფრთოვანება გამოიწვია.

★

რუსთავის მეფოლადეები და მებრძმედეები მეორე საკავშირო ადგილზე

რუსთავი. (საკ. კორ.). 26 აპრილს მოსკოვიდან რუსთავში მოვიდა დეპეშა, სადაც ნათქვამია, რომ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს კოლეგიამ და შავი მეტალურგიის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის და საბრძმედე საამქროების კოლექტივები მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით აღიარეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე საკავშირო ადგილზე გამოსულად.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია მრავალი ასი ტონა ფოლადი და თუჯი. განსაკუთრებით ისახელეს თავი მ. გორბაშვილისა და კ. პარასტაშვილის ცვლის მებრძმედეებმა, ა. ფანკულიას და გ. სიგუას ბრიგადის მეფოლადეებმა.

სასახელო ცნობამ მეტალურგებში საერთო აღფრთოვანება გამოიწვია.

ჭიათურელ მაღაროელთა გამარჯვება

ჭიათურა. (საკ. კორ.). მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის — 1 მაისის წინადღეებში ჭიათურელმა მაღაროელებმა კიდევ ერთი შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს — 27 აპრილისათვის შეასრულეს სასაქონლო მარგანეცის დამზადების ოთხი თვის გეგმა.

მაღაროელებს გადაწყვეტილი აქვთ 1 მაისისათვის გეგმის გადამეტებით ამოიღონ 1.700 ათასი მანეთის მარგანეცი.

ავტომძღოლთა სკოლა

ოზნი. (საკ. კორ.). რაიონის კულტურის სახლში არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობმა ნებაყოფლობითმა ორგანიზაციამ გახსნა ავტომძღოლთა სამთვიანი სკოლა, რომელმაც კოლმეურნეობებისა და საწარმო-დაწესებულებებისათვის უკვე მოამზადა ავტომძღოლები.

ახლა სკოლა ორ ცვლად მეცადინეობს. პირველ ცვლაში სწავლობენ სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდები, რომელთა უმეტესი ნაწილი ავტომძღოლის თანაშემწედ მუშაობდა. მეორე ცვლაში სწავლობენ მუშა-მოსამსახურეები.

აღვკვეთოთ მეცხოველეობისადმი უდარდელი დამოკიდებულება

უყურადღებოდ მიტოვებული ფერმები

შეუფერებელ ადგილზე აგებულ პრიმიტიულ ბოსელშია მოთავსებული სოფელ ახუთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირუტყვი. ფერმის მუშაკებს მუშაობის ნორმალური პირობები არა აქვთ. ხბოებს ვედრონი ასმევენ რძეს, სარქვლიანი საწოვრების მოძარაგებისათვის თავს არავინ იწუხებს. სხვა ინვენტარიც აკლიათ.

ცუდად კვებავენ მეწველ ძროხებს, შემოღებული არა აქვთ პირუტყვის ბაგური მოვლა. ცალკე არა ჰყავთ მაღალპროდუქტიული და მშრალი ძროხები.

— ჩვენთან ძროხებს მხოლოდ და მხოლოდ სიმაღლის მიხედვით კვებავენ, — განაცხადა საუბარში კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის გამგემ ს. ჩიტაიამ.

პირუტყვის ცუდი მოვლა-პატრონობისა და კვების შედეგად კოლმეურნეობამ შარშან ვერ შეასრულა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდისა და წველადობის გეგმა. ამ მდგომარეობიდან ჯეროვანი დასკვნა არ გაუკეთებიათ კოლმეურნეობის გამგეობასა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციას. ახლაც ცუდად მუშაობენ მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად.

— საკვები არა გვყოფნის, მაგრამ ვიშოვით, რამეს მოვახერხებთო, — უპასუხისმგებლოდ აცხადებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. სანაია. აქ ზოოტექნიკოს ც. პაპასკირის მუშაობით კმაყოფილი არ არიან. იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ფერმაში ზოოტექნიკური წესების დაცვას. შედგენილი არა აქვთ კვების რაციონი. მერძეულ პირუტყვს მცირე ულუფას აძლევენ.

მოუგვარებელია პირუტყვის რწყურლება. მას წყალს დღეში ორჯერ, ზოგჯერ კი მხოლოდ ერთხელ ასმევენ. ამას ასე ამართლებენ: რადგან პირუტყვს საკვების მცირე ულუფა ეძლევა, იგი წყლის ნაკლები მომთხოვნიაო (!).

ასეთ ვითარებაში რა გასაკვირველია, რომ წველადობამ მკვეთრად იკლო. მეცხოველეობაში ახალი სამეურნეო წლის პირველ ნახევარში, ე. ი. 1955 წლის 1 ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 1 აპრილამდე, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მხოლოდ 64 ლიტრი რძე მიიღეს. კოლმეურნეობაში მარტში ადგილობრივი ჯიშის 38 მეწველი ძროხა იყო და მათგან არცერთი ლიტრი რძე არ მიუღიათ.

— მიღებული რძე ხბოს საკვებად არ გვყოფნიდა, — განაცხადა ფერმის მუშაკმა ა. პაპასკირმა. ასეთი მდგომარეობა აპრილშიც გრძელდებოდა. თვეში თვითეული ძროხის შენახვა სულ მცირე 250-300 მანეთი უჯდებათ, მისგან შემოსავალი კი მხოლოდ 50-100 მანეთი აქვთ.

კოლმეურნეობამ შარშან შეიძინა 6 ჯიშიანი ძროხა 54 ათას მანეთად. მოსალოდნელი იყო, რომ ამ ძროხებს მაინც კარგად მოუვლიდნენ, მაგრამ აქაც შევხვდებით შეუწყარებელ ფაქტებს. თვითეულ ჯიშიან ძროხაზე ყოველდღიურად იღებენ 3-4 ლიტრ რძეს. ეს გამოწვეულია იმით, რომ საერთოდ კოლმეურნეობაში პირუტყვის მოვლის ელემენტარულ წესსაც კი არ იცავენ. ჯიშიანი ძროხა პრიმიტიულ და უვარგის ბინაში ჰყავთ. შარშან კოლმეურნეობაში ახალი სადგომის მშენებლობა დაიწყეს, კედლები ამოიყვანეს და შემდეგ მიატოვეს. ახლა კი დაწყებული ნაგებობა მთლიანად დანგრეულია.

ათვალიერებ სოფელ ქვედა ჩხოროწყუს ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობის სასაქონლო ფერმას, და ნახული სურათი გაოგნებს. ფერმის შენობის ირგვლივ წყალი დგას. მეწველი ძროხა უზრუნველყოფილი არ არის უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვებით. კოლმეურნეთა სამართლიან გულისწყრომას იწვევს დაუდევრობა, რასაც გამგეობა და პირველადი პარტიული ორგანიზაცია იჩენენ. ჩვენ ვნახეთ, რომ თვითეული ჯიშიანი ძროხისათვის საკვებად ჰქონდათ მხოლოდ 3 კილოგრამი დაღერღილი სიმინდი.

პარტიის რაიკომის მდივანთან ჩხოროწყუს მტს-ის ზონაში ამხ. გ. ახალაიასთან და რაიონის მთავარ ზოოტექნიკოს ამხ. ა. ჯიქიასთან ერთად ვნახეთ კოლმეურნეობის სილოსი, რომელიც გაფუჭებული აღმოჩნდა, რადგან დასილოსების წესი არ დაუცავთ.

ჩვენთან საუბარში ფერმის გამგემ პ. კვირკველიამ განაცხადა, სილოსი კი არა მეწველი ძროხის საკვებად ერთი კონა ჩალა არ გაგვაჩნია. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. კვამილავა დაგვპირდა, ჩალით მოგამარაგებთო. აგერ ორი დღეა მის ლოდინში ვართ.

ასეთ ვითარებაში განა შეიძლება მეცხოველეობის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის გადიდებაზე მსჯელობა? მიმდინარე წლის ნახევარში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 137 ლიტრი რძე. წველადობის წლიური გეგმის შესრულება საფრთხეშია.

სოფელ ზუბის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობს ამხ. შ. ლემონჯავა. იგი ამავე დროს პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის ბიუროს წევრია. ვფიქრობდით, რომ მეცხოველეობაში აქ მაინც იქნებოდა კარგი მდგომარეობა. სამწუხაროდ, იმედი არ გამართლდა. მართალია, კოლმეურნეობას საჭირო რაოდენობაზე მეტი აქვს ყველა სახის საკვები, მაგრამ ამ საკვებს წესიერად როდი იყენებენ, პირუტყვს საკვებს უყრიან ერთად, არ ითვალისწინებენ საკვების მიცემის დაწესებულ ნორმებს. პირუტყვის სადგომი გომურს მოგაგონებს. ყოველივე ამის გამო დაბალია წველადობა, ყოველთვიურად ერთ საფურაჟე ძროხაზე 15-30 ლიტრ რძეს იღებენ.

პირუტყვს კარგად არ უვლიან. მეწველი ძროხები ჩალის ნარჩენებზე წვანან. იატაკზე ფიცრის დაგებისათვის თავი არავის შეუწუხებია. უფრო ცუდ მდგომარეობაშია ახლად მოგებული ხბოები. ყოველივე ეს იწვევს პირუტყვის დასუსტებას და სიკვდილს. გასული წლის ოქტომბრიდან მიმდინარე წლის აპრილამდე 10 ხბო მოკვდა.

წველადობა ძალიან შემცირდა სოფელ ლეწურწუმეს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. ნახევარი წლის განმავლობაში ერთ ძროხაზე მხოლოდ 19 ლიტრი რძე მიიღეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ლ. კვარაცხელიას ეს სრულიად არ ადარდებს.

შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას უგულებელყოფენ

რაიონში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია უგულებელყვეს სოფლების კიცხის, ლესიჭინის, ნაკიანის, ჭოლის, მუხურის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში. პირუტყვს უხეში საკვები შეუმზადებლად ეძლევა. არ ხდება საკვების დაჭრა და დაორთქლვა. მექანიზებული არ არის წყალმომარაგების სამუშაოებიც.

სოფელ ჩხოროწყუს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში, როგორც შარშან, ისე წელსაც შეურიგდნენ წველადობის მკვეთრ შემცირებას და პირუტყვის სიკვდილიანობას. მეცხოველეობაში მიმდინარე წლის ექვს თვეში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 115 ლიტრი რძე. კოლმეურნეობას მოუკვდა 21 სული პირუტყვი. მათ შორის 13 ხბო. გეგმის მიხედვით კოლმეურნეობას ესაჭიროება 162 ტონა თივა, ფაქტიურად კი 95 ტონა დამზადეს. დავალების შესრულებას დაკლეს 228 ტონა კონცენტრირებული საკვები. კოლმეურნეობის გამგეობისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის უყურადღებობის შედეგად ფერმაში ჩაშლილია მიღებული პროდუქტების აღრიცხვა. აქ არ იციან, რამდენ რძეს იყენებენ ხბოს საკვებად. ძროხისათვის განკუთვნილი საკვების აღრიცხვა მოუგვარებელია.

კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ ორი წლის წინათ უნდა დაემთავრებინათ პირუტყვისათვის მექანიზებული ბინის მშენებლობა. მაგრამ დაამთავრეს მხოლოდ შენობის აგება, ფერმის მექანიზაციის სამუშაოები კი ჭიანურდება. აკლიათ წყლის გასაყვანი მილები, საკვების დამაორთქლებელი, ჩალის საჭრელი და სხვ.

შარშან მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჩაშალეს პირუტყვისათვის სადგომის მშენებლობის სამუშაოები. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის ახუთის ლენინის სახელობის, ამავე სოფლის მალენკოვის სახელობის, ჭოლის ვოროშილოვის სახელობის, მუხურის კაგანოვიჩის სახელობის, ხაბუმის ორჯონიკიძის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებზე. შარშანდელი ნაკლი წელსაც გრძელდება. განა ეს დასაშვებია?

მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას ყურადღება არ ექცევა

რაიონის ხელმძღვანელებს და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს მიაჩნიათ, რომ ზამთარში წველადობა, როგორც წესი უნდა შემცირდეს. ეს აშკარად მცდარი შეხედულებაა. ამ შეხედულებას ამბილებს მოწინავეთა გამოცდილება და თუნდაც სოფელ ნაფიჩხოვოს ნარჩის სახელობის კოლმეურნეობის გამოცდილება. აქ ერთ საფურაჟე ძროხაზე წველადობა მიმდინარე წლის ნახევარში წინა წელთან შედარებით 118 ლიტრით გაიზარდა. კოლმეურნეობამ უკვე შეასრულა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის 1960 წლის გეგმა.

კოლმეურნეობაში კარგი მუშაობით სახელი გაითქვა მწველავმა ე. პაპავამ. იგი ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს დავალებას. მეცხოველეობაში ახალი სამეურნეო წლის პირველ ნახევარში მან ადგილობრივი ჯიშის 17 ძროხიდან თვითეულზე მიიღო 300 ლიტრი რძე. მთლიანად შეინარჩუნა ნამატიც. ასევე მოწინავენი არიან ფერმის მუშაკები გ. ბერულავა, ს. გოგუაძე, ბ. პაპავა და სხვ.

ფერმის მოწინავე მუშაკებს შეხვდებით აგრეთვე სოფელ ხაბუმის ლენინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში. მაგრამ რაიონში არ შეუსწავლიათ და არ განუხილავთ მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის საკითხი, არ დაუსახავთ ღონისძიებანი ჩამორჩენილების მოწინავეთა დონემდე აყვანისათვის, წარჩინებულ მეცხოველეთა გამოცდილების განზოგადებისა და ყველა კოლმეურნეობაში გავრცელებისათვის.

ფაქტია ისიც, რომ რაიონული გაზეთი „სტალინური დროშით“ სუსტად ეწევა მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას. მას თავის ფურცლებზე მეცხოველეობის გამოცდილების შესახებ ერთი საფუძვლიანი კორესპონდენციაც არ მიუცია.

ჩხოროწყუელ მეცხოველეთა პრეტენზიები

ჩხოროწყუელმა მეცხოველეებმა საუბარში განაცხადეს: რაიონში ცუდად გვაქვს პირუტყვისათვის სადგომის მშენებლობის საქმე. ცეკავშირი შეეჩვია დაპირების შეუსრულებლობას. მაგალითად, 1954-1955 წლებში უნდა მიგვეღო 1.100 კუბური მეტრი დახერხილი ხე-ტყის მასალა, ფაქტიურად მივიღეთ — 530. მრგვალი ხე მოგვცეს 1.000 კუბური მეტრი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.750-სა. ვერ ვიღებთ აგრეთვე შიფერს, ცემენტს და სხვა მასალებს.

მტს-ი ცუდად გვეხმარება ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საქმეში. მტს-ის მუშაკთა უინიციატივობას თან ერთვის ისიც, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო მას არ ამარაგებს საჭირო ინოწყობილობით მექანიზებული ფერმებისათვის.

ზამთრობით რაიონის ნაწილი პირუტყვი კოლხიდის საზამთრო საძოვრებზე იმყოფება. აქ ბალახის ნაკლებობაა. ეს კი ადგილზე დამატებით საკვების მიტანას მოითხოვს. ამას ხელს უშლის ის, რომ მისასვლელი გზა საძოვრებს 12-25 კილომეტრით არის დაშორებული. ჩხოროწყუელთა ზემოთ აღნიშნული პრეტენზიები აქედანვე უნდა გაითვალისწინონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ.

რაცა შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებს

ჩხოროწყუელმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ხობელები და წინასწარ ტრაბახობდნენ, მეცხოველეობაში როგორც სულადობის, ისე პროდუქტიულობის ზრდის გეგმას გადაჭარბებით გავანაღდებთო. ნამდვილად კი რაიონში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება დაიგიწყეს. შეჯიბრება კაზიონური გახდა. წველადობის გეგმა 82,6 პროცენტით შესრულეს, ძროხის სულადობის ზრდის გეგმაც ვერ გაანაღდეს.

რაიონის კოლმეურნეებს ნაკისრი ჰქონდათ ვალდებულება შარშან ჰყოლოდათ 1.800 სული ღორი, ფაქტიურად ეს ვალდებულებაც შეუსრულებელი დარჩა. ასევე ჩამორჩნენ ფრინველის სულადობის, გოჭის გაზრდისა და კვერცხის მიღების გეგმის შესრულებაში.

ჩხოროწყუელი მეცხოველეები წელსაც ცუდად მუშაობენ. სამეურნეო წლის პირველი ნახევარი სამარცხვინოდ დაამთავრეს, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 118,4 ლიტრი რძე. მოუვლელობით მოუკვდათ 310 პირუტყვი, მათ შორის 62 ხბო.

პარტიის ჩხოროწყუს რაიკომი (მდივანი ამხ. მ. ცანავა) და რაისაბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ამხ. შ. ხუნტუა) სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მეცხოველეობის განვითარების საქმეს. მართალია, შარშან ნოემბრიდან წელს აპრილამდე რაიკომის ბიურომ და რაიაღმასკომმა მეცხოველეობის საკითხი შვიდჯერ განიხილეს, აღნიშნეს ზოგიერთი ნაკლი, მიღებს დადგენილებანი, მაგრამ შემდეგ არ გაუჩაღებიათ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა მათი განხორციელებისათვის.

საზოგადოებრივი მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ყველაზე რთული დარგია. იგი ყოველდღიურ ზრუნვას, ყურადღებას, კვალიფიციურ ხელმძღვანელობას მოითხოვს. პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებიდან სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ ჩხოროწყუს რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა.

შ. ჭოჭუა,

ბ. მილიუტინი,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„აღმოვუფხვრათ ფორმალიზმი საგიგაციო-მასობრივ მუშაობაში“

„კომუნისტში“ ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო სერიოზული ნაკლოვანებანი ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში. კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ საბრძმედე, რკინიგზის, სარემონტო-მექანიკური, სამხმელო საამქროების, თბოელექტროცენტრალისა და სხვა საწარმოების პარტიული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საგიტაციო-მასობრივ მუშაობას, ფორმალურ ღონისძიებებს ეჩენენ ამ სერიოზული საქმისადმი.

საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა განიხილა გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი, კრიტიკა სწორად ცნო და მდგომარეობის გამოსასწორებლად დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. საქალაქო კომიტეტის მუშაკებმა გააძლიერეს დახმარება ქარხნის საამქროთა პარტიული ორგანიზაციებისადმი. დამატებით შეიქმნა აგიტკოლექტივები, გაუმჯობესდა აგიტატორთა სემინარების მუშაობა, მოეწყო საქალაქო თათბირი პოლიტიკური აგიტაციის საკითხებზე. თათბირზე განიხილეს საკითხი, თუ როგორ დაუკავშირონ აგიტატორებმა თავიანთი საუბრები ცხოვრებას, საწარმოს საქმიანობას.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ამაღლდა ქარხანაში საგიტაციო-მასობრივი მუშაობის დონე, რამაც თავისი დადებითი გავლენა იქონია მთელი კოლექტივის საწარმოო საქმიანობაზე.

სურათზე: თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის პირველი საამქროს მეექვსე ბრიგადა. წინა პლანზე — რუსუდან ხუციშვილი, რომელიც სისტემატურად პირველხარისხოვან პროდუქციას უშვებს და დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ფოტო შ. გოქაძისა.

რეპორტაჟი

საათობრივი გრაფიკი, სიგნალიზაცია...

ფაბრიკის ერთ-ერთ დიდ და ნათელ დარბაზში, სადაც პირველი საამქროა მოთავსებული, ყურადღებას იპყრობს გარდამავალი წითელი დროშა. მას ოქროსფერი ასოებით აწერია: „სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლებისათვის“. ხან ერთ ბრიგადას გადასცემენ ამ დროშას, ხან მეორეს, მაგრამ უკვე ორი თვეა, რაც იგი დაისაკუთრა მეექვსე ბრიგადამ და ხელიდან არ უშვებს.

ეს ბრიგადა განსაკუთრებით დაწინაურდა წინასამაისო დღეებში. იგი გეგმის დიდი გადაჭარბებით უშვებს საუკეთესო ხარისხის პროდუქციას. აქ მამაკაცის ზედა პერანგებს კერავენ. ნელა მოძრაობს კონვეიერი, მის ორივე მხარეს ზის 38 ქალი და ყველა ცალკეულ ოპერაციას ასრულებს. ქათქათა აბრეშუმის საპერანგე ქსოვილი, უკვე გამოჭრილი ზესაკერავად, 38 ოპერაციას გაივლის და მზა პროდუქცია კონვეიერით გადაეცემა წუნდებ ე ლ ს. იგი გულმოდგინედ სინჯავს ხარისხს და ზედიზედ ალაგებს მამაკაცის საზაფხულო პერანგებს.

სიმა შერმადინმა, რომელიც ბრიგადის წუნმდებლად მუშაობს, წინასწარ იცის, თუ რომელი მუშა რომელ ოპერაციას ასრულებს. აი მას არ მოეწონა სახელო — ცუდად არის მიკერებული. მაგიდაზე დადგმული დაფის სათანადო ღილს დააჭირა თითი და... დარბაზის ბოლოს ერთ-ერთი მუშის მანქანასთან წითელი შუქი აინთო. საჩქაროდ გამოდის ახალგაზრდა გოგონა, მითითებას იღებს წუნმდებლისგან და ასწორებს დეფექტს.

თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის პირველ საამქროში პირველად მოეწყო ასეთი სიგნალიზაცია. ყველა მუშასთან არის დადგმული სასიგნალო ნათურები. ისინი საშუალებას აძლევენ წუნმდებელს სწრაფად გააგებინოს და გაასწორებინოს მუშას დაშვებული დეფექტები. ამით უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი და იზოგება დიდი დრო.

რუსუდან ხუციშვილის საკერავი მანქანის გვერდით დადგმული სასიგნალო ნათურა კი ჯერ ერთხელაც არ ანთებულა. ეს ხალისიანი, ბეჯითი და უხარისხო ქალიშვილია. რუსუდანმა რვა კლასი დაამთავრა. ამ რამდენიმე თვის წინათ აქ დაიწყო მუშაობა და უკვე მოწინავეთა რიგებში დგას, 130-140 პროცენტით ასრულებს დავალებებს, ამასთან წარჩინებით განაგრძობს სწავლას საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში. რუსუდანთან ერთად მუშაობენ ნათელა კალანდაძე, გული ლომიძე, ქეთო გონტაშვილი, რომლებიც საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი და ახალი წარმატებებით ეგებებიან დიდ დღესასწაულს.

თვითეულ ბრიგადასთან დგას აგრეთვე მაღალი დაფა, რომელიც ოთახის ყველა კუთხიდან ჩანს. ეს დაფა დაყოფილია სამუშაო საათების მიხედვით 8 ნაწილად. თვითეულ ნაწილზე ორი ნიშანია. როცა ბრიგადა სამუშაოს დაწყებიდან პირველი საათის ნორმას შეასრულებს, აინთება წითელი შუქი, თუ ნორმა ვერ შეასრულა მაშინ რჩება თეთრი შუქი. ასევე კეთდება მომდევნო საათებში. ეს არის საათობრივი გრაფიკი, რომლითაც მუშები ყოველ საათში იგებენ, თუ როგორ შეასრულეს სამუშაო. საათობრივი გრაფიკის დაფაზე ყოველდღიურად აღინიშნება აგრეთვე ამა თუ იმ ბრიგადის შედეგები, რაც მუშაობის ნათელ სურათს იძლევა.

— სიახლე, რომელიც ჩვენთან დაინერგა, — ამბობს საამქროს უფროსი მურაზ ჯავახიშვილი, — ხელს გვიწყობს შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში. ამაზე მეტყველებს საამქროს საწარმოო მაჩვენებლები: გეგმა თებერვალში 104,1 პროცენტით შეასრულეთ, მარტში—108,2 პროცენტით, აპრილში თვიური დავალება ორი დღით ადრე გავანაღდეთ და ახლა გეგმის გადამეტებით ვუშვებთ პროდუქციას, ასევე ამაღლდა ხარისხი; თებერვალში დავალების გათვალისწინებული 90 პროცენტის ნაცვლად გამოშვებული იქნა 91,2 პროცენტი პირველი ხარისხის პროდუქცია, მარტში — 92,5 პროცენტი, აპრილის 28 დღეში უკვე 92,7 პროცენტს მივაღწიეთ.

ვ. ჯალაღანია.

* * *

აღვკვეთოთ მეცხოველეობისადმი უდარდელი დამოკიდებულება

ქართული ციფრული ბიბლიოთეკა

ჩაის ფაბრიკები სეზონის წინ

ზალენჯიხა. (საკ. კორ.). ჩაის ფოთლის გადამუშავების სეზონს მომზადებული ხვდება ჯვარის ჩაის ფაბრიკა, რომელმაც 1.300-ზე მეტი სატრანსპორტო და საფერმენტაციო ყუთი დაამზადა. შეკეთებულია მანქანა-დანადგარები, გადაკეთდა წყალსაწნევი კოშკის აუზი.

დამთავრდა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. უახლოეს ხანში აშენდება ორსართულიანი საერთო საცხოვრებელი სახლი. უკვე ამუშავდა ახალი აბანო.

დიდი ყურადღება მიექცა ფაბრიკის ტერიტორიის გამწვანებას. დაირგო 2 ათასი ძირი კრეპტომერია, თუთის ხე, ნაძვი და ბზა.

ჩაის გადამუშავების სეზონისათვის კარგად მოემზადა აგრეთვე პირველი ფაბრიკა. წესრიგზე მოყვანილია საღნობ საამქროში ნედლეულის ამტანი ტრანსპორტიორი, ჩაის 18 საგრეხი მანქანა, 4 სახმობი ღუმელი და დამხარისხებელი საამქროები.

ფაბრიკის ტერიტორიაზე დაიდგა მოწინავეთა საპატიო დაფა. მუშები, სპეციალისტები გამსჭვალული არიან ერთი აზრით — მტკიცედ განახორციელონ ტექნოლოგიური რეჟიმი და წელს გამოუშვან საუკეთესო ხარისხის ჩაის ბზა პროდუქცია.

იდეების გამოსვლა რადიოთი და ჭელევიზიით

ლონდონი, 27 აპრილი. (საკუთარი). პრემიერ-მინისტრმა იდენმა რადიოთი და ტელევიზიით წარმოთქვა ინგლისში ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტისადმი მიძღვნილი სიტყვა, რომელშიც განაცხადა:

„მე მინდა მეტად ზუსტი ვიყო ამაში, რის თქმასაც თქვენთვის დღეს ვაპირებ. მე მსურდა ანგარიში მომეცა ჩვენს რუს სტუმრებთან მოლაპარაკების შესახებ პირველსავე მოხერხებულ შემთხვევაში. მაგრამ ჩვენ აუცილებლად უნდა დაგვეცვა საიდუმლოება მოლაპარაკების გარშემო, სანამ იგი წარმოებდა, ახლა შემიძლია გიამბოთ ამ მოლაპარაკებაზე.

იგი, უეჭველია, საგულისხმო იყო. ზოგიერთს საეჭვოდ მოაჩნდა ჩვენს ქვეყანაში მოლაპარაკების საწარმოებლად საბჭოთა ხელმძღვანელების მოწვევის მიზანშეწონილობა. აქ გასაკვირველი არაფერია, თუ გავითვალისწინებთ ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ისტორიას ომის შემდეგ. მართალია, გასული წლის ზაფხულში ჩვენ ჟენევაში მოვაწყეთ თათბირი ზედა ფენებში, როგორც მას უწოდებდნენ, და ამ თათბირმა გვიჩვენა ერთგვარი გაუმჯობესება, მაგრამ ამის შემდეგ დიდი სახელმწიფოები კვლავ ჩიხში მოექცნენ. მოუხედავად ამისა, მე მომაჩნია, რომ სწორი იყო ამ შეხვედრის მოწყობა. როგორი იყო, ბოლოს და ბოლოს, შესაძლებლობანი? ან ჩვენ ვეღარასოდეს შეეხვედროდით საბჭოთა ხელმძღვანელებს, ან შეხვედრა უნდა მოწყობილიყო სადმე სხვა ადგილას, ან მე უნდა გავმგზავრებულიყავი მოსკოვს ანდა რომელიმე ნეიტრალურ დედაქალაქში.

უარის თქმა იმის იმედზე, რომ როდისმე შეეხვედროდით იმათ, ვისთანაც უთანხმოება გვაქვს, ნიშნავდა მირდაპირ მივცემოდით სასოწარკვეთილებას. და მთლიანად მე მიმაჩნია, რომ საჭმეთა მართებული იყო, რომ ჩვენი მოლაპარაკება გაიმართა ლონდონში ამ მომენტში. ახლა ჩვენი მოლაპარაკება დამთავრდა — და ჩვენი სტუმრები გზაში არიან შინ მიმავალნი. მოლაპარაკებამ ერთ კვირაზე მეტ ხანს გასტანა, და იგი დაძაბული იყო. როგორიაა ჩვენი შთაბეჭდილებანი?

იყო მთელი რიგი გულახდილი აზრთა გაზიარება. ეს, რა თქმა უნდა, სრულიად აუცილებელი იყო, და მე მიმაჩნია სასარგებლოც კი, რადგან ორივე მხარე ჩვენს მოლაპარაკებაში სერიოზულ მიზნებს ისახავდა. რა თქმა უნდა, ჩვენ არ მოველოდით, ისე როგორც თქვენც არ მოელოდით, რომ რამდენიმე დღეში შეეძლებოდით აღგვეკვეთა სერიოზული უთანხმოებანი, რომლებიც მსოფლიოს თიშავენ. ზოგიერთ საკითხზე, რომლებსაც განვიხილავდით, წარმატებას ვერ მივაღწიეთ. მაგალითად, თანხმობას ვერ ნივაღწიეთ გერმანიის პრობლემაზე, რადგან ჩვენ, ინგლისში, მიგვაჩნია, რომ გერმანიაში უნდა მოეწყოს თავისუფალი არჩევნები და რომ მათ თავიანთი ბედი საკუთარი გზით უნდა გაიმოკვეთონ. არაფერს არ შეეცვლია ჩვენი თვალსაზრისი ამის შესახებ. მეორე მხრივ, არის მთელი რიგი საკითხები, რომლებზეც თანხმობის სასახარულო დონეს მივაღწიეთ, — ვალიარებ, თანხმობის მეტ დონეს, ვიდრე მოველოდი, როცა მოლაპარაკება დავიწყეთ. მაგალითად, ორივე ჩვენს მხარეს სურს ისრაელისა და მისი არაბი მეზობლების კონფლიქტის მოწესრიგება ორივე მხარესთვის მისაღები პირობებით. თქვენ იცით, რომ ეს მე დიდი ხანია მსურდა. სასიამოვნოა ვიცოდეთ, რომ ჩვენ და ჩვენი საბჭოთა სტუმრები ერთად ვესწრაფვით ამ მიზანს. ჩვენ განვაცხადეთ, რომ მზად ვართ მხარი დავუჭიროთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველგვარ ინიციატივას, რათა დამყარდეს მუდმივი მშვიდობა. ამასობაში ჩვენ ერთობლივად მოვუწოდებთ ორივე მხარეს დაიცვან არსებული დაზავება.

შემდეგ არის ისეთი დახლართული საკითხი, როგორც განიარაღებაა, რომელიც, როგორც იცით, არასოდეს არ შეიძლება საკუთებით დავაშოროთ შიშს, რაც ქვეყნების ურთიერთობაში არსებობს. რაც უფრო მეტ შიშს განაცდიან ქვეყნები, მით უფრო ნაკლებად არიან მზად განიარაღდნენ. და მაინც, თუ მოხერხდა განიარაღების რაიმე დონის მიღწევა, ამით შეიძლება განვამტკიცოთ ნდობა ქვეყნებს შორის.

ჩვენ ამ საკითხს საკმაოდ დაწვრილებით განვიხილავდით. ჩვენ ვცდილობდით გამოგვეძებნა რაიმე საშუალებანი — კონტროლის საშუალებით ან რაიმე სხვა გზით — აღმოგვეფხვრა ქვეყნების შიში, მიგვეღწია რაიმე წარმატებისათვის შეიარაღების ამ მძიმე ტვირთის შემცირების საქმეში. როგორც ჩანს, ეს არის ყველაზე ძნელი საერთაშორისო საკითხი. როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ იგი. და იმედი მაქვს, რომ ჩვენს შორის მომხდარი აზრთა გაზიარება დაეხმარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის ქვეკომიტეტს, რომელსაც ახლა სხდომები აქვს ლონდონში და რომელშიც, რა თქმა უნდა, წარმოდგენილი არიან სხვა ქვეყნებიც, ჩვენსა და რუსეთს გარდა. იქ შედიან საფრანგეთის, იტალიისა და ეგვიპტის შტატებისა და კანადის წარმომადგენლები. იმედი მაქვს, რომ ის, რაც ერთობლივად განვიხილეთ, ერთგვარ დახმარებას გაგვიწევს. და ეს დაგვეხმარება მივაღწიოთ რაიმე პროგრესს ამ საკითხში.

შემდეგ, ვაჭრობის საკითხი, დიდმნიშვნელოვანი არა მარტო თავისთავად, არამედ იმიტომაც, რომ უფრო თავისუფალი ვაჭრობა შეიძლება დაგეხმაროს ქვეყნებს შორის ურთიერთგაგების დამყარებაში. რაც უფრო მეტად იცნობენ ერთმანეთს, მით უმჯობესია. რაც უფრო მეტიცეა მათი სავაჭრო კავშირურთიერთობა, მით უფრო ძლიერია ის ფაქტორები, რომლებიც მშვიდობის სასარგებლოდ მოქმედებენ. როგორც ბევრ თქვენგანს ახსოვს, ჯერ კიდევ 1949 წელს დაწესდა რუსეთისათვის ზოგიერთი სტრატეგიული მასალის მიწოდების შეზღუდვები. ეს შეზღუდვები უკანასკნელ წლებში შესუსტდა, მაგრამ მაინც არსებობენ. დასავლეთის თავისუფალმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელმაც დაიწესა ეს შეზღუდვანი, და ჯერაც ამ შეთანხმების მონაწილენი არიან. ამიტომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ მარტო ჩვენ დავაწესეთ ისინი. ყოველივე ეს ავუხსენით რუსებს და აგრეთვე ვუთხარით, რომ ჩვენი აზრით, არსებობს ფართო შესაძლებლობა ჩვენს შორის ვაჭრობის გასაფართოებლად ამ კონტროლის ჩარჩოების გარეთ. და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეა.

რუსებმა გვაცნობეს არა მარტო თანხა — 200 მილიონი გირვანქა სტერლინგი წელიწადში, — რითაც ისინი მზად არიან ჩვენში იყიდონ საქონელი, არამედ საქონლის ფაქტიური ნუსხაც. ჩვენ გულდასმით ვსწავლობთ მას და ვფიქრობთ, რომ ამ საქონლის თითქმის ორ მესამედს საერთოდ არ ეხებიან შეზღუდვანი, და სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ნაწილი უფრო მეტი აღმოჩნდეს. მაშასადამე, თქვენ ხედავთ, რომ არსებობენ დიდი შესაძლებლობანი საბჭოთა რუსეთსა და ჩვენს შორის ვაჭრობის გასაფართოებლად. გასულ წელს ჩვენ გავიტანეთ დაახლოებით 23 მილიონი გირვანქა სტერლინგის საქონელი და ეს ნიშვნელოვნად მეტი იყო, ვიდრე წინა წელს. ახლა ჩვენ გულდასმით ვსინჯავთ ამ საკითხს და კონსულტაცია გვაქვს რუსეთთან, და შედეგი უნდა იყოს ინგლისისათვის საეკსპორტო ბაზრის რეალური გაფართოება.

თუ ეს ასეა, ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაში მუშაობის დიდმნიშვნელოვანი ნაწილი დაეკისრება მანქანათმშენებლობას. და ჩვენ, როგორც ერმა, უნდა გადავწყვიტოთ, რომ, თუ ჩვენს წინაშე ისახება გაჭრობის ასეთი გადიდების შესაძლებლობა, სათანადო სიმაღლეზე უნდა აღმოვჩნდეთ.

ჩვენ უნდა გავადიდოთ წარმოება, რომ მივაწოდოთ საქონელი. უნდა ვერიდოთ კონფლიქტებს მრეწველობაში, რომლებიც გვასუსტებენ. მე სრულიადაც არ მეეჭვება, რომ რუსებს ესაჭიროებათ ეს საქონელი, და თუ მათ ვერ შეძლეს ჩვენგან მისი მიღება, ისინი ან თვითონ გააკეთებენ მას, ანდა სხვაგან სადმე იშოვნიან. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რისი უნარი გვაქვს. ამავე დროს უნდა უზრუნველვყოთ საიმედო მომავალი ჩვენთვის. და საქმე მარტო ვაჭრობას როდი ეხება. ეს გაცილებით მეტია, რადგან ასეთი სახეობის კომერციას შეუძლია დახმარება გაუწიოს მშვიდობის განმტკიცებას.

ჩვენ შეეთანხმდით აგრეთვე მოლაპარაკებაში ათეულ რიგ წინადადებათა შესახებ, რომლებიც დახმარებას გაუწევენ ჩვენს ხალხს ყოველგვარი კონტაქტი დაამყაროს მეცნიერების, ხელოვნების, სპორტისა და სხვ. დარგში უფრო ფართო მასშტაბით, ვიდრე წინათ იყო შესაძლებელი. ყოველივე ეს დაგვეხმარება, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, კიდევ არ წყვეტს მთელ საკითხს — არ იწვევს შეთანხმებას, რომელიც გადატრიალებას მოახდენდა. ან როგორ შეიძლება ეს. დიდი სახელმწიფოები თავიანთ პოლიტიკას ადვილად რიდი ცვლიან. მიუხედავად ამისა, ლონდონის მოლაპარაკება შეიძლებოდა რაღაც მეტად დიდმნიშვნელოვანი გამხდარიყო. იგი შეიძლება გამხდარიყო დასაწყისის დასაწყისი. ბ-ნმა ბულგანინმა თავის პრესკონფერენციაზე დღეს დილით თქვა ზოგი რამ, რისი ციტირებაც თქვენთვის მინდა, რადგან სავსებით ვეთანხმები ამას. მე მომაყვანს მისი სიტყვები: „პროგრამა, როგორც ხედავთ, მნიშვნელოვანია, და საჭირო იქნება ვამუშაოთ. ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, სერიოზულად მიგვაჩნია ეს პროგრამა და ვეცდებით მის განხორციელებას". ასევე მოვიქცევთ ჩვენც. ჩვენ რომ თუნდაც მხოლოდ ნაწილობრივ წარმატებას მივაღწიოთ, მაინც შეეძლებთ ამით ხელი შეეუწყოთ მშვიდობის დამყარებას მთელ მსოფლიოში.

არიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ამგვარ შეთანხმებებს ხშირად ჩვენთვის წარსულში იმედის გაცრუება მოჰქონდათ. და ისინი აცხადებენ, რომ აზრი არა აქვს ასეთი შეთანხმებათა დადებას. მე სრულიად არ ვეთანხმები ამას და მინდა, რომ თქვენ ნათლად გაიგოთ ჩემი პოზიცია ამ საკმეში. მანამდე, სანამ რაღაც პასუხისმგებლობა მაკისრია, ჩვენ განვაგრძობთ შრომას ამ საკითხების მოწესრიგებისათვის. ჩემი მხრივ, ვერ დავეთანხმები ისეთ მდგომარეობას, როცა მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები პირქუშად უყურებენ ერთმანეთს და თავიანთი სიმდიდრის მნიშვნელოვან ნაწილს შეიარაღებაზე ხარჯავენ. საჭიროა რაღაც ამაზე უკეთესი გავაკეთოთ. შესაძლებელია, — და მე ვფიქრობ, რომ ეს ასეა, — შემცირდა ომის უშუალო საფრთხე. და ეს კარგია. მაგრამ, თუ ეს თუნდაც ასეა, ეს ჯერ კიდევ საკმაო რიდია.

აი როგორია ჩვენი პოლიტიკა. ჩვენ არ განვშორდებით ჩვენს მეგობრებს და ხელს არ აიღებთ ჩვენი ცხოვრების ინტერესებზე, მაგრამ ჩვენ ვეცდებით მივაღწიოთ შეთანხმებას ყველასთან. დიპლომატიის დიდი ხნის ისტორიის მანძილზე ეჭვებს მეტი ზიანი მოჰქონდათ, ვიდრე ნდობას, — მეარწმუნეთ, რომ ეს ასეა. ჩვენ განვახორციელებთ პოლიტიკას, რომელიც მე დაგიხატეთ, ვეცდებით მივაღწიოთ შეთანხმებებს, ხელი შეეუწყოთ მეგობრობას. დარწმუნებული ვარ, რომ ეს საბჭოთა ვიზიტი შეესაბამებოდა ასეთ სულისკვეთებას და რომ შედეგად მსოფლიოს შეუძლია მიიჩნიოს, რომ იგი უფრო მეტ უშიშროებაშია".

გერმანიაში საბჭოთა ჯარების შეჯების ცნობა

ბერლინი, 27 აპრილი. (საკუთარი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, 23 აპრილს გერმანიაში საბჭოთა ჯარების შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალ-მაიორმა ი. ლ. ცარენკომ ევროპაში ამერიკის ჯარების შტაბის უფროსს გენერალ-მაიორ ანკლზს გაუგზავნა წერილი, რომელშიც გამოთქმულია პროტესტი იმ ხვრელის გამო, რომელიც ამერიკის სამსახურს გაუყვანია საბჭოთა ჯარების კავშირგაბმულობის ხაზებამდე, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ხაზებამდე. წერილი შეიცავდა წინადადებას შექმნილიყო გამოძიების შერეული კომისია. 26 აპრილს გენერალ-მაიორმა ანკლზმა გამოგზავნა შემდეგი შინაარსის პასუხი:

„თქვენი 23 აპრილის წერილის გამო, რომელიც მოლაპარაკებას აყენებს ბერლინის საბჭოდრო კომენდანტების მოლაპარაკების დონეზე მაღლა, და პრესისათვის ცალმხრივი განცხადების გამო, რომელიც ბერლინში თქვენმა კომენდანტმა პოლკოვნიკმა კოკიებამ გააკეთა, მე აქაური სამხედრო კომენდანტების შემდგომი მოლაპარაკება საჭიროდ და სასურველად არ მიმაჩნია. ამიტომ ეს საკითხი მოვახსენე ვაშინგტონს.

ამ ხნის განმავლობაში არც ჩემი შტაბი, არც ბერლინის გარნიზონი გენერალ დეშერისა (ბერლინის ამერიკელი კომენდატი. — რედ. შენიშვნა) აღარ განიხილავენ ამ საკითხს".

გერმანიაში საბჭოთა ჯარების შტაბმა განაცხადა, რომ სამწუხაროა, რომ ამერიკის მხარე თავს არიდებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის შერეული კომისიის შექმნას, რამდენადაც კომისიას შეეძლო მიეცა ორივე მხარისათვის მასალები საქმის ფაქტიური მდგომარეობის შესახებ. ამავე დროს დაუყოვნებლივ გამოძიებისათვის თავის არიდება შეიძლება გავიგოთ როგორც ევროპაში ამერიკის ჯარების შტაბის ცდა გვერდი აუაროს ბერლინში ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა იმ უკანონო და დაუშვებელი მოქმედების ფაქტს, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხორციელდებოდა.

ბრძანება

თბილისის გარნიზონის ჯარებისადმი

№ 22.

1956 წ. 28 აპრილი. ქ. თბილისი

თბილისის გარნიზონის ჯარების პარადის შესახებ 1956 წლის 1 მაისს

§ 1.

1956 წლის 1 მაისს, მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის დღეს, რუსთაველის პროსპექტზე ინიშნება თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

§ 2.

პარადს მიიღებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი **ი. ი. ფედიუნინსკი.**

§ 3.

პარადის სარდლობა მებრძანა მე.

§ 4.

პარადის დასაწყისი დილის 9.00 საათზე მოსკოვის დროით.

§ 5.

პარადზე გამოყვანილ იქნან სამხედრო სასწავლებლები და ჯარის ნაწილები განსაკუთრებული გეგმით.

§ 6.

ტანსაცმლის ფორმა საზაფხულო, **საპარადოა.**

§ 7.

რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობა დამთავრდეს 8 საათსა და 30 წუთზე.

§ 8.

თბილისის გარნიზონის კომენდანტმა პოდპოლკოვნიკმა **ი. ტ. მაკუშევმა** მოახდინოს საარტილერიო სალუტი ჩემ მიერ მიცემულ მითითებათა თანახმად.

§ 9.

რუსთაველის პროსპექტზე და ლენინის სახელობის მოედანზე ჯარების დაწყობისა და გავლის დროს საერთო ხელმძღვანელობას წესრიგის დასაცავად ვაკისრებ გარნიზონის კომენდანტს პოდპოლკოვნიკ **ი. ტ. მაკუშევს.**

თბილისის გარნიზონის უფროსი
გენერალ-მაიორი ვ. შ. გლადკოვი

სურათზე: ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი დავით კლდიაშვილის საფლავთან მთაწმინდის პანთეონში.

დავით კლდიაშვილის გარდაცვალების 25 წლისთავის გამო

25 წელი შესრულდა ცნობილი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის გარდაცვალებიდან. ქართველი ხალხი, ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობა სპეტაკად ინახავს ქართული კლასიკური პროზის ამ მრწყინვალე წარმომადგენლის ხსოვნას. დ. კლდიაშვილის ფიდარი შემოქმედება მტკიცედ შეედი ქართული კლასიკური ლიტერატურის საგანძურში.

დავით კლდიაშვილმა თავის ცნობილ მოთხრობებში („შერისხვა", „სოლომან მორბელაძე", „ქაშუმაძის გაჭირვება", „სამანინშვილის დედინაცვალი", „ბაკულას ღორები" და სხვ.) რეალისტურად დაგვიხატა იმერეთის დაკნინებული თავადაზნაურობის ცხოვრება, მოგვცა მათი უბადრუკობისა და უნიადაგობის მხატვრულად განზოგადებული ისტორია. დავით კლდიაშვილს, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში შემოვიდა როგორც „შემოდგომის აზნაურთა" შემატანე, ფხიდველობიდან არ გამორჩენია აგრეთვე რეკოლუციამდელი სოფლის ცხოვრების, დაჩაგრული მშრომელი ხალხის ყოფის სურათები. ამიტომ არის დ. კლდიაშვილი ქართველი ხალხის საყვარელი მწერალი. ამიტომ აღნიშნა მწერალთა საზოგადოებრიობამ ასე ფართოდ მისი გარდაცვალების თარიღი.

27 აპრილს დილის 4 საათზე ქართველმა მწერლებმა მთაწმინდის პანთეონში გვირგვინთ შეამკეს დავით კლდიაშვილის საფლავი მწერლის გარდაცვალების 25 წლისთავთან დაკავშირებით.

იმავე საღამოს მწერალთა კავშირის კლუბში გაიმართა მწერლის გარდაცვალების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველმა მდივანმა ირ. აბაშიძემ. დავით კლდიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოახსენეს გააკეთა კრიტიკოსმა ბ. ჟღენტმა. სიტყვებით და მოგონებებით გამოვიდნენ მწერლები ა. ბელიაშვილი, გ. ქიქოძე, ა. ჭეიშვილი, ს. ჩიქოვანი, რ. ჯაფარიძე, ს. კლდიაშვილი. იმერეთისადმი მიძღვნილ ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ბ. ბარათაშვილმა და ა. თევზაძემ. პოეტმა თ. ჯანგულაშვილმა წაიკითხა პოლო ია ბილის ლექსი, მიძღვნილი დავით კლდიაშვილისადმი.

შეხვედრა ნორჩ ჩემპიონთან

საათი ჩართეს, მორიგი ტური დაიწყო, სადემონსტრაციო დაფებზე აჩვენებენ პირველ სვლებს. დარბაზი სავსეა ქადრაკის მოყვარულებით, ყოველ სვლას აზრთა გაცვლა გამოაცილა მოსდევს...

ასე მიმდინარეობდა ქალთა რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატის ყოველი ტური თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, რომელმაც ერთ თვეს გასტანა.

ვინც ამ შეჯიბრებას თუნდაც ერთხელ მაინც დასწრებია, მას მხედველობიდან არ გამორჩენია 14 წლის გოგონას სანდომიანი სახე, მისი თავმდაბლობა, თავაზიანობა. აქ ლაპარაკი გვაქვს მერვე კლასის ხუთოსან მოსწავლეზე ნინა გაფრინდაშვილზე, რომლის სპორტულმა მიღწევამ, თამაშის მაღალმა კლასმა, სწრაფმა ორიენტირებამ, ლამაზი კომბინაციური სტილით ბრძოლამ საერთო მოწონება დაიმსახურა.

ჩვენი რესპუბლიკის საჭადრაკო ჩემპიონატების პრაქტიკაში და, საერთოდ, მსგავს შედეგს იშვიათად თუ შეხვდებით. ამა გასინჯეთ, ისეთი ძლიერი შემადგენლობის ჩემპიონატში, როგორიც ეს უკანასკნელი იყო, რას ნიშნავს 15 მოგება, მხოლოდ ერთი ყაიმი საერთაშორისო ოსტატთან ო. იგნატიევასთან და არც ერთი წაგება!

ეშმარიტად საამაყო შედეგია. ასეთი შედეგით ნ. გაფრინდაშვილი საქართველოს 1956 წლის ჩემპიონია ჭადრაკში ქალთა შორის.

მარცხნიდან — ე. კაკაბაძე, ლ. გელოვანი, ო. იგნატიევა, ნ. გაფრინდაშვილი, მ. ტოგონიძე, ნ. ვოიცეკი.

ნ. ვოიცეკი, ლ. გელოვანი, ე. კაკაბაძე, მ. ტოგონიძე, ვ. გოგლიძე, ვ. ქარსელაძე, გ. გაჩეჩილაძე და სხვები.

— მახარებს ჩემპიონატის მონაწილე ახალგაზრდობის მაღალი სპორტული მაჩვენებლები, კერძოდ გაფრინდაშვილის, ტოგონიძის და სხვათა მიღწევები, — ამბობს საერთაშორისო ოსტატი ვ. გოგლიძე. ჭადრაკისადმი ინტერესი ჩვენს რესპუბლიკაში დღითიდღე იზრდება. უნდა ვიფიქროთ, რომ მალე საქართველოს მოჭადრაკე ქალები ერთ-ერთი უძლიერესი იქნებიან ჩვენს ქვეყანაში. წინ არის მეტად პასუხსაგები შეჯიბრება — სსრ კავშირის ნახევარფინალი. ამ ასპარეზობაში საქართველოს მოჭადრაკეებმა წარმატებით უნდა დაიცვან ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება. მოჭადრაკე ქალთა ახალგაზრდა კადრების აღზრდაში პირველ რიგში აღსანიშნავია ვ. ქარსელაძის ნაყოფიერი, შემოქმედებითი შრომა.

ახალგაზრდა მოჭადრაკეთა, კერძოდ ნ. გაფრინდაშვილის სპორტულ მიღწევებზე ილაპარაკა მწვრთნელმა ვ. ქარსელაძემ. ჩემი აზრით, სადემონსტრაციო დაფებზე ჩვენ ბევრ საინტერესო ბრძოლას ვიხილავ, — ამბობს იგი, — ამ პატარა გოგონამ ჯერ კიდევ 1953 წელს მიიქცია ბათუმში გამართულ მოსწავლეთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში. იგი მეტად მუყაითი, შრომისმოყვარე და ძლიერი ნებისყოფის მოჭადრაკეა. ჭადრაკი დიდ შრომას, ენერგიასა და დროს მოითხოვს, მაგრამ ეს შრომა უთუოდ კარგ შედეგს გამოიღებს.

— საქართველოს მოჭადრაკე ქალების ბრძოლისუნარიანობამ მოლოდინს გადააჭარბა, — ამბობს საერთაშორისო ოსტატი ო. იგნატიევა. — მე აქ მოვდიოდი გამარჯვების სრული რწმენით, საქმე კი სულ სხვანაირად წარიმართა. მახარებს ახალგაზრდობის ასეთი წარმატება, ინტერესი ჭადრაკისადმი, ნ. გაფრინდაშვილის გამარჯვება. აქვე უნდა აღვნიშნო ნ. გაფრინდაშვილის თითქმის არნახული ნებისყოფა, სწრაფი ორიენტირების უნარი. შედარებით არასრულყოფილია მისი სადებიუტო რეპერტუარი.

დასასრულ, როცა რესპუბლიკის ახალ ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს სთხოვეს დამსწრეთათვის ეამბნა თავისი მუშაობისა და რესპუბლიკური ჩემპიონატის შესახებ, მან, ლაყეგაწითლებულმა, მორცხვად თქვა: „მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის".

ვ. გაბელია.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი

(1954 წლის გამოშვება)

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-3 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა ქალაქ გროდნოში 1956 წლის 22 აპრილს.

მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	ოდენობა	სერიის №	ობლიგაციის №	ოდენობა	სერიის №	ობლიგაციის №	ოდენობა	სერიის №	ობლიგაციის №	ოდენობა	სერიის №	ობლიგაციის №	ოდენობა
160462	1—50	200	163968	24*)	1.000	168533	1—50	200	172457	1—50	200	176092	1—50	200
160476	13*)	1.000	164218	1—50	200	168737	1—50	200	172620	08*)	1.000	176116	1—50	200
160789	08*)	5.000	164756	1—50	200	168788	32*)	1.000	172622	09*)	5.000	176314	08*)	1.000
161122	37*)	1.000	164779	24*)	1.000	169050	1—50	200	172678	1—50	500	176409	1—50	200
161318	1—50	500	164835	1—50	500	169052	1—50	200	172888	02*)	1.000	176538	1—50	200
161416	1—50	200	165004	29*)	1.000	169251	39*)	1.000	173004	09*)	1.000	176566	1—50	200
161479	15*)	1.000	165016	50*)	1.000	169270	48*)	1.000	173100	1—50	200	176639	1—50	200
161482	1—50	200	165295	1—50	500	169434	1—50	200	173361	23*)	5.000	176691	42*)	1.000
161520	1—50	200	165454	1—50	500	169997	1—50	200	173432	06*)	1.000	176706	1—50	200
161605	28*)	1.000	165490	21*)	5.000	170098	1—50	200	173558	1—50	200	176965	36*)	1.000
161617	1—50	200	165587	1—50	200	170208	1—50	200	173582	1—50	200	177014	47*)	1.000
161629	1—50	200	165981	1—50	200	170283	1—50	200	173770	1—50	200	177041	1—50	200
161668	15*)	1.000	166072	1—50	200	170328	40*)	1.000	173845	11*)	1.000	177149	1—50	200
161735	1—50	200	166101	1—50	200	170365	33*)	1.000	173939	1—50	200	177409	1—50	200
161776	1—50	200	166142	1—50	200	170499	03*)	1.000	174148	18*)	1.000	177424	1—50	200
162102	1—50	200	166363	1—50	200	170513	1—50	200	174161	1—50	200	177471	37*)	1.000
162105	41*)	1.000	166539	1—50	200	170631	08*)	1.000	174225	1—50	200	177563	30*)	1.000
162143	1—50	200	166559	12*)	1.000	170776	1—50	200	174312	1—50	200	177648	1—50	200
162283	1—50	200	166578	43*)	5.000	170780	1—50	200	174340	24*)	1.000	177751	1—50	200
162517	1—50	500	166697	08*)	1.000	170791	1—50	200	174512	1—50	200	178232	1—50	200
162565	1—50	200	166930	1—50	200	170806	38*)	1.000	174537	1—50	200	178263	1—50	200
162593	1—50	500	167028	1—50	500	170850	50*)	1.000	174558	1—50	200	178343	49*)	5.000
162631	45*)	1.000	167039	1—50	200	171045	1—50	200	174653	42*)	5.000	178396	1—50	200
162773	27*)	1.000	167141	1—50	500	171190	1—50	200	174683	1—50	200	178404	1—50	200
162775	1—50	200	167177	15*)	1.000	171325	1—50	200	174695	1—50	200	178450	1—50	500
162804	1—50	200	167210	1—50	200	171524	1—50	200	174744	1—50	200	178770	11*)	5.000
163263	1—50	200	167495	1—50	200	171715	1—50	200	174813	1—50	200	178972	21*)	1.000
163312	1—50	200	167574	1—50	200	171811	48*)	1.000	174924	1—50	200	178991	21*)	1.000
163596	1—50	200	167682	1—50	200	171843	1—50	200	175205	32*)	10.000	179128	08*)	1.000
163607	46*)	5.000	167814	1—50	200	171867	1—50	200	175216	1—50	200	179213	1—50	200
163660	1—50	200	167899	1—50	200	171938	1—50	200	175239	1—50	200	179325	23*)	1.000
163729	37*)	1.000	167944	17*)	5.000	171993	1—50	200	175262	1—50	200	179337	1—50	200
163732	1—50	200	167987	1—50	200	172256	38*)	1.000	175328	1—50	200	179528	1—50	200
163857	1—50	200	168182	37*)	1.000	172311	1—50	200	175398	08*)	1.000	179708	09*)	1.000
163947	1—50	200	168329	36*)	1.000	172421	1—50	200	175496	22*)	1.000	179717	13*)	1.000

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — გროდნოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ი. ს. კონონოვიჩი**

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **ლ. ა. ვასილიევა.**

თბილისის თეატრებში

29 აპრილს

ოპერისა და ბალეტის — მშვიდობისათვის, **რუსთაველის სახელობის** — ჩვენებურები, **მარჯანიშვილის სახელობის** — ნანა, **გრიბოედოვის სახელობის** — იასამნის ბაღში, **სომხური დრამის** — სამველი, **მუსიკალური კომედიის** — სიყვარულის კვანძი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კოკი მეწისქვილე (აბონემენტი № 49, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მედოლის ბედი (10 ს. და 30 წ.), **გზა მშვიდობისა** (7 ს.).

30 აპრილს

ოპერისა და ბალეტის — ევგენი ონეგინი (დილას), **აბესალომ და ეთერი** (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ხვეისბერი გოჩა (დილას), **ოჯახი** (საღამოს), **მარჯან